საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

№ 171 ოთხშაბათი, თებერვლის 14 (27) 1918 წ.

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

**ამიერკავკასიის სეიმმა მუშაობა დაიწყო.—ფრონტიდან მომავალმა ეშელონებმა საპროტესტო რეზოლიუცია გამოუგზავნეს კომისარიატს.—ქუთაისში და ახალციხის მაზრაში სიწყნარეა.—ოსმალეთის ჯარი წინ მოდის.**

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში“ (ქ. თავართქილაძესეული „ნადეჟდა“) ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში,

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელში არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ“, поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.

ტელეფონი 12—29

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის
საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ
გაზეთი „სახალხო საქმე“ ღირს:

ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ., ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის“ რედაქციას.

ფოსტით ფულის დაგზავნა შეიძლება შემდეგი მისამართით **Тифлисъ, ред. „Сахалхо Сакме“, почт. ящ. 190,**

ყველა ხელის მომწერს ვინც მიიღო რედაქციიდან ხელის მოწერის ბლანკები გთხოვთ ფული გამოგზავნონ შეცვლილ განცხადების მიხედვით.

ქართ. დრამ. | ქართული კლუბი | წარმოდ. № 34
ვალ. შალიკაშვილის ბენეფისი.
ხუთშაბათს, 15 თებერვალს, 1918 წ.

სასცენო და სალიტერატურო მოღვაწეობის 15 წლის შესრულების აღსანიშნავად **ვალ. შალიკაშვილი** გამართავს სადღესასწაულო წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება შილერის პიესა

არამზადები
4 მოქმ.

მონაწილეობენ ქალნი: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., ქიქოძე ა., ჩერქეზიშვილი ე., ვაჟნი: გვარამძე ნ., ზარდალიშვილი ი., თარალაშვილი ი., იმნელი გ., იმედაშვილი ა., ქავიძე ი., კობახიძე ი., მატარაძე ვ., ციციშვილი ნ., შალიკაშვილი ვალ. ბილეთები იყიდება.

დასაწყისი საღამოს 7½ საათზე. რეჟ. ვ. შალიკაშვილი. 1071

დიდი ცირკი
ძმ. ეფიმოვებისა
მიხეილის პრ., მუშტ. ბაღი, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრ. შენობა, ტელეფ. 19—80.
დღეს, 14 თებერვალს, გაიმართება
გრანდიოზული ბენეფისი
მოცეკვავე დუეტის ბონ-ბონ და ბოლის. მთელი დასის მონაწილეობით. დღეს ბენეფიციანტი გამოვა ოთხჯერ: სასაცილო ანტრე ნეფტიდ და ჟუნებლიდ. ბენეფიციანტი და იონაში, დღეს ბოდი-რიჯიო... ახალი ამერიკული აკრობატიული სცენები. ბენეფიციანტის უნიბლიელე ბონ-ბონ შეასრულებს რუსულ ნაციონალურ ცეკვას. სენსაცია ბოდი-ბოქსერი. დღეს შესდგება გრანდიოზული ბოქსის მატჩი ბენეფიციანტ და ჯოე-მორაშეს. შეხვედრა 2 ზანგ-ბოქსერებისა. ჭიდაობს 5 წყვილი: 1. ალბერტ რააგო და ურს-იარბაჩი, 2. იალოვი და ჩურკინი, 3. ზბიშკო და ხერბრკ-როლანდი, 4. მედელაური და დობრინია, 5. ქალინი და იაგუარი. 201

გამოვიდა ჟურნალ „პრომეთეს“ პირველი ნუმერი

ჟურნალი 3 თვით ეღირება ცხრა მანეთი, ცალზე მყიდველებისათვის 4 მანეთი.

ჟურნალზე ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში „სახალხო საქმის“ კონტორაში ქუთაისში გიგლა მებუკეხთან „ხალხის მეგობრის“ რედაქციაში, თინა გველესიანთან. ბათუმში სერგო გერსამიასთან. ახალ სენაკში გ. ჯაკობიასთან. ჭიათურაში ნინო დგებუაძესთან. ხონში მოსიკ ჰელიძესთან. გორში სიმონ მაჭავარიანთან. თელავში სიმონ წერეთელთან.

პირველი ნუმრის ცალზე ყიდვა შეიძლება ჯერ-ჯერობით ტფილისში „სახალხო საქმის“ კანტორაში, ქართველთა შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში, ქართული კლუბის შესავალთან სიმონ გელაშვილის „კიოსკში“. ყოველივე მასალა და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ტფილისი ფოსტის ყუთი 190. პრომეთეს რედაქციას.

**საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის სიღნაღის სამაზრო**

## კომიტეტი

აცხადებს ამხანაგების საყურადღებოდ, რომ კვირას, 25 თებერვალს ქ. სიღნაღში გაიმართება პარტიის სამაზრო

## კრება

**საგანი კრებისა:** 1. მოხსენება პარტიულ კონფერენციის შესახებ, 2. მომენტი და ტაქტიკა, 3. საქართველოს დამფუძნებელი კრება, 4. მიწის საკითხი, 5. ერობის საკითხი, 6. მოხსენება სამაზრო კომიტეტისა, 7. მოხსენებები ადგილებიდან, 8. საორგანიზაციო საკითხები და სხ.

კრებაზე დასწრების ნება აქვს ყველა ჩვენს პარტიულ ამხანაგს, მოვუწოდებთ ამხანაგებს აუცილებლად დაესწრონ კრებას.

**საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ბათომის ორგანიზაციის პოლიტიკური ბიურო და კლუბი**

## გადატანილია ახალ ბინაზე

მოთავსებულია მარინეს პროსპექტის ბოლოში, აზიზიეს მოედანთან ყოფილ სამრევლო სკოლის ბინაზე, ბიურო ღიაა ყოველ დღე დილის ათ საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდე და საღამოს ხუთის ნახევრიდან ცხრა საათამდე, იქ იმყოფება მორიგი კომიტეტის წევრი რომელთანაც შეიძლება საჭირო საქმეებზე მოლაპარაკება და იქვე შეიძლება წევრათ ჩაწერა.

მოქალაქენო!

ამით გვაქვს პატივი გაუწყოთ, რომ 1918 წლის 1 იანვრიდან, თამბაქოს ფაბრიკა ძმათა ფირალოვებისა, აღებულია იჯარით გარეგინ ვართანისძე ბუზოღლის მიერ.

ჩვენ გვაქვს დამზადებული ადერბეილი, საუკეთესო სოხუმის, მაიკოპის და ყირიმის თამბაქოები, აგრეთვე ჩვენგნივე შეძენილია ნამდვილი თათრული თამბაქო,—საჯაროდ გაყიდული სევასტოპოლში, როგორც სამხედრო ნადავლი.

მქონე დიდი გამოცდილებისა თამბაქოს საქმეში, ვთანამშრომლობდით მრავალ ხნის განმავლობაში და ვაწოდებდით ფულ... თამბაქოს რუსეთის დიდ ფაბრიკებს, აგრეთვე შევისწავლეთ ადგილობრივ შერჩევა და არევა (смешка) თამბაქოსი—ეგვიპტეში და ამერიკაში.

ვბედავთ ვიქონიოთ იმედი, რომ ჩვენი ფირმის მიერ გამოშვებული ნაწარმოები, როგორც ფასით, ისე ღირსებულებითაც იქნება კონკურენციის გარეშე.

იმედი გვაქვს, რომ არ დაგვტოვებთ უყურადღებოდ და ღირს გვყოფთ შეკვეთით.

ფაბრიკის კანტორა და თამბაქოს მაღაზია ღიაა: დილის 9 ს-დან 2-დე, ნაშუადღევს 4 დან 6 საათამდე.

ფოსტის ადრესი: ქუთაისი, ტფილისის ქუჩა, საკ. სახ., ფოსტის ყუთი, № 20.

ტელეგრამის ადრესი: ქუთაისი, თამბაქოს ფაბრიკა ბუზოღლი:

189 პატივისცემით რწმუნებული გ. ვ. ბუზოღლისა ა. გ. ტაციშვილი

## ტფილისი, 14 თებერვალი 1918 წ.

**ზავი და ჩვენი ქვეყანა.** სამარცხვინო ზავის პირობები უკვე გამოცხადებულია. სახალხო კომისარიატმა ხელი მოაწერა გერმანულ ზავს. ეს ზავი—როგორც დეპეშებით შეგვიძლიან დავასკვნათ—საბოლოო იქნება რუსეთისათვის. ამისათვის არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი, იგი ჩვენი მომავალ ცხოვრების პირობაა, სარკეა, აქ გამოიკვეთება ფორმები, რომელშიაც უნდა მოემწყვდეს ჩვენი კულტურა, ჩვენი შრომა, ჩვენი იდეალი.

დღეს მხოლოდ ჩვენს საკუთარ თავზე გვინდა მკითხველ საზოგადოებას მოველაპარაკოთ. საერთოდ გერმანული ზავის პირობები სამარცხვინოა რუსეთისათვის, მაგრამ განსაკუთრებით სამარცხვინოა მდგომარეობა საქართველოსი კერძოდ და ამიერკავკასიის საერთოდ. რას წარმოადგენს ან საქართველო, ან ამიერკავკასია? ვინც განაგებს ჩვენს ცხოვრებას, ვინც უძღვის პოლიტიკის საქმეს, ესმის კი მას ამ ქვეყნების სახელები? დიახ, ჩვენი ქვეყანა დღეს არაა რაიმე პოლიტიკურ-ორგანიული ერთეული, არამედ უბრალო კომბინაცია გარეშე ძალების ურთი-ერთობისა, რომელსაც არც ხელი აქვს, არც სხეული, არც ფორმა; ჩვენი ქვეყანა სიბრძნის პოლიტიკის მაძიებლებმა მკვდარ სულს დაამსგავსეს, რომელსაც არც ავს კითხავენ, არც კარგს. ეხლანდელი ზავი იკვრება და არც საქართველოს, არც ამიერკავკასიას არაფერს კითხავენ!

აქვს თუ არა საწმყო და სამომავლო ინტერესები. საჭიროა თუ არა საზოგადოდ საკუთარის ხელებით დავიცვათ ხალხის ინტერესები? თუ კი ყოველივე ეს საჭიროა, უნდა ვსთქვათ, რომ წვრილმან პოლიტიკით გატაცებული ამიერკავკასიის კომისარიატი დამნაშავეა, რომ ხალხის ინტერესების დაცვა ზავის საქმეში ვიღაცას და რაღაცას მიანდვეს. ხალხმა იცის, რომ ეხლა რაღაც მოლაპარაკება უნდა გამართულიყო ზავისათვის ტრაპეზუნტში, მაგრამ რა აზრი აქვს ამ მოსალოდნელ მოლაპარაკებას, რომელიც მოსალოდნელია აღარც შედგეს, ვინაიდან ტრაპეზუნტის მოლაპარაკების განზრახვის შემდეგ საერთო ზავმა უჩვენოდ გადაწყვიტა თითქმის ყოველი საკითხი. ამნაირად ჩვენ, უფლების გარეშე ვართ გამოცხადებულნი, ღირსება აყრილნი რომელთათვის არის მხოლოდ მოვალეობა, ვალდებულობა და არა საკუთარი ნებისყოფა.

ამიერკავკასიის კომისარიატის უმოქმედობამ და წვრილმან პოლიტიკით გატაცებამ ჩვენი საქმეები ხელში ჩაუგდო იმ სახალხო კომისარიატს, რომელსაც ვებრძვით. განა ეს აშკარა სამარცხვინო მდგომარეობა არ არის? მაშინ, როდესაც ხორცი უნდა შეგვესხა და ფორმა მოგვეცა ჩვენი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, როგორც ეს მოახდინა უკრაინამ, ფინლანდიამ, პოლონეთმა და სხვებმა, ჩვენ კიდევ ორიენტაციებზე ვლაპარაკობდით და ვერ შევსძელით წარმოგვედგინა, რომ რუსეთი აღარ არსებობდა. ამიერიდან ფორმალურად წინანდელი რუსეთი აღარ არსებობს. რუსეთი უკრაინით, კურლიანდიით, ლიფლიანდიით, პოლონეთით, ესტლიანდიით სხვა რუსეთი, მას ჰქვიან ველიკოროსია და არა სხვა სახელი. ნუ თუ ამიერკავკასიის კომისარიატი ამას ვერ ხედავდა წინად, რომ სათანადო გეზი აეღო მოქმედებისათვის და არ ჩავარდნილიყო სამარცხვინო მდგომარეობაში? დღეს რომც გვინდოდეს შეუძლებელია რაიმე ორგანიული კავშირი დავიჭიროთ ველიკოროსიასთან. დღემდე მხოლოდ ფაქტიურად ვიყავით მოწყვეტილი ველიკოროსიას, ეხლა კანონიერის გზითაც მოვშორდით, ვინაიდან აღარ არის წინანდელ კონსტიტუციის რუსეთი. ასეთი პირობებია შექმნილი და ჩვენ კი მაინც უსახო, უხორცო და რაღაც ბაქტერიას წარმოვადგენთ, რომელსაც არ ესმის სად ნახოს ნავთსაყუდელი.

გამოსწორდება კი მდგომარეობა?—ჩვენ ვიცით, რომ სეიმისათვის ზავის საკითხის და საკუთარ მდგომარეობის პრობლემა იქნება თავსატეხი საგანი, მაგრამ სათავეში ამღვრეულ საქმეს დაწმენდა დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ყოველ შემთხვევაში ჩვენი ხალხი უდიდეს ყურადღებას აქცევს ამ ზავის საქმეს და ვინც ეხლა ვეღარ ნახავს დამაკმაყოფილებელ პასუხს, ის ხალხის გულსაც ვერასოდეს ეღირსება.

## ამიერკავკასიის პოლიტიკური სახე

დროებითი ზავი, საზავო მოლაპარაკება, შეწყვეტა საზავო მოლაპარაკებისა, გერმანიის საზავო პირობების მიღება, ხელ-მეორედ ომის გამოცხადება ბოლშევიკების მიერ და კვლავ ახალი ზავი.—ყველა ეს უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა ისეთის სიჩქარით სცვლის ერთი მეორეს, რომ პერიოდიული პრესა კვალდაკვალ ვერც კი მისდევს მათ და სათანადო შეფასებას ვერც კი აწვდის. ჯერ ხეირიანად ვერც კი გაიგო ხალხმა, რომ ბოლშევიკებმა ომი გამოუცხადეს გერმანიას და დეპეშას უკვე ახალი ცნობა მოაქვს, ბოლშევიკები გერმანიის საზავო პირობებს დასთანხმდნენ. თუ უკანასკნელი ცნობა გამართლდა, რუსეთი საბოლოვოდ დარღვეულად უნდა ჩაითვალოს. პოლონეთი, ფინლანდია და უკრაინა საბოლოვოდ გამოყოფილად უნდა ჩაითვალოს რუსეთის ყოფილი ტერიტორიიდან. აღარაფერს ვიტყვით რუსეთის იმ ნაწილებზე, რომლებსაც გერმანია თავისთვის იტოვებს. ამ რიგად, როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლშევიკებმა რუსეთის თითქმის მთელი ნახევარი თავიანთ ბატონობას ანაცვალეს. გერმანია კატეგორიულად მოითხოვს, რომ ბოლშევიკების „წითელ გვარდიელები“ დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნენ ფინლანდიიდან და უკრაინიდან, როგორც ამიერიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოებიდან. ბოლშევიკებიც ამ საზავო პირობებს დასთანხმდნენ. ავია თუ კარგი, სამარცხვინოა თუ არა,—ბოლშევიკებმა მაინც ომი გაათავეს და გერმანიასთან მშვიდობიანობა ჩამოაგდეს. მისცეს ნახევარი რუსეთი და მეორე ნახევარზე ჰსურთ თავიანთი ძველებური შინაური პოლიტიკა აწარმოონ.

რანაირია ამ პოლიტიკურ მომენტში ამიერკავკასიის სახე? ჩვენ ვიცით, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი რუსეთისაგან დამოუკიდებლად საზავო მოლაპარაკებას აწარმოებს ოსმალეთთან. თუ გვინდა ამ საზავო მოლაპარაკებას და თვით ზავსაც, თუ მისი ჩამოგდება მოხერხდა, რაიმე პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდეს როგორც ეხლა ისე მომავალში, ნათლად და გარკვეულად უნდა იყოს ჩამოყალიბებული პოლიტიკური სახე ამიერკავკასიისა. სავალდებულოა თუ არა ბოლშევიკების მიერ შეკრული ზავი ამიერკავკასიისთვის, უნდა გავინაწილოთ თუ არა მთელი პასუხის-მგებლობა იმ პოლიტიკისა, რომელსაც ბოლშევიკები აწარმოებენ? მეორეს მხრით, ამიერკავკასიის მიერ შეკრული ზავი ოსმალეთთან, სავალდებულო იქნება თუ არა რუსეთისთვის, რომლის სახელითაც ბოლშევიკები ზავსა ჰკრავენ გერმანიასთან? ვერც ერთს კითხვაზე და ვერც მეორეზე ვერავითარ გარკვეულსა და გადაწყვეტილ პასუხს ვერ მივიღებთ, თუ საბოლოოდ არ გამოირკვა ურთიერთობა და დამოკიდებულება ამიერკავკასიისა და რუსეთს შორის. დღევანდელი მდგომარეობა, როგორც ამიერკავკასიის ხელმძღვანელი პოლიტიკური პარტიები ამბობენ, დროებითი და გარდამავალი მდგომარეობაა. მათში ჯერ კიდევ ღვივის იმედი, რომ რუსეთის ბატონ-პატრონი სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრებაა და ამიტომ ზავიც მხოლოდ მან უნდა ჩამოაგდოს. ამ იმედით ჩვენებური ხელმძღვანელი პარტიები კავშირსა სწყვეტავენ ბოლშევიკებთან და არა რუსეთთან, როგორც სახელმწიფოსთან. მაგრამ, სანამ იმედი განხორციელდებოდეს, რუსეთში ერთი მეორეზე უცნაური ამბები ხდება. ერთი უდიდესი მოვლენათაგანი რუსეთის ცხოვრებისა ის არის, რომ ბოლშევიკებმა ზავი შეჰკრეს გერმანიასთან და ხელი მოაწერეს ფინლანდიისა და უკრაინის დამოუკიდებლობას, ხელი მოაწერეს სავაჭრო ხელ-შეკრულებას, რომელიც მრავალი წლით ამტკიცებს გერმანიის ეკონომიურ ბატონობას რუსეთზე. ამ ზავის შემდეგ რუსეთი გერმანიის ახალ-შენად უნდა გადაიქცეს და შედეგები ეკონომიური უღლისა უნდა ზიდოს ყველა იმ ერმა, რომელიც ზავის შემდეგ რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში დარჩება. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში ძირიან-ფესვიანად იცვლება მდგომარეობა ამნაირი ზავის შემდეგ, ჩვენში ისევ ძველებური სიტუაციაა გამეფებული. ამიერკავკასიის კომისარიატსა და სეიმს ისევ დროებით მმართველობად მიაჩნიათ თავიანთი თავი და ოსმალეთთან მოლაპარაკებასა ჰმართავს, როგორც **დროებითი** ორგანიზაცია. რახან ეს ასეა, ამიერკავკასიის კომისარიატმა უნდა უცადოს რუსეთის რომელიმე ორგანოს **სანქციას**. ეს სანქცია შეიძლება იყოს ან ბოლშევიკების მთავრობისა ან იმ მთავრობისა, რომელიც გაჩნდება რუსეთის შუაგულში, ველიკოროსების წიაღში. ბოლშევიკების სანქციას ჩვენ ვერ დავუცდით, რადგანაც არავითარი ფასი და ღირებულება არა აქვს ისეთი მთავრობის სანქციას, რომელიც რუსეთს გაკოტრებულად აცხადებს. რანაირი იქნება ველიკოროსების მთავრობა და იქნება თუ არა საზოგადოდ ასეთი,—ესეც არავინ იცის, ომის ლიკვიდაცია რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს, მაგრამ ისე კი, რომ ჩვენი სასიცოცხლო ინტერესები არ დაზარალდეს. მიუხედავად იმისა, აღარ არსებობს ისეთი ცენტრალური აპარატი, რომელსაც მთლიანი რუსეთის ინტერესების დაცვა შეეძლოს, არ არსებობს წყარო, საიდანაც უნდა გამომდინარეობდეს მთელი რუსეთისთვის სავალდებულო უფლებრივი ნორმები. **ამიტომ ამიერკავკასია ძალა-უნებურად თავისი საკუთარი უფლების დასაწყისად თითონ უნდა გადაიქცეს.**

თუ გვინდა ამიერკავკასიის პოლიტიკურ აქტს **ხელშეუხებელი** ხასიათი ჰქონდეს, იგი უნდა ემყარებოდეს ისეთს ორგანოს, რომელიც დროებითი ხასიათისა კი არ არის, არამედ მუდმივია. მხოლოდ ასეთს მუდმივს ორგანოს შეუძლიან მუდმივი ურთიერთობა დაამყაროს თავის მეზობლებთან და კიდეც უზრუნველჰყოს შექმნილი მდგომარეობა. ამ ორგანოს არავითარი გარეშე ძალის სანქცია არ უნდა ესაჭიროებოდეს. იგი თითონვე უნდა იყოს დასაწყისი უფლებისა. სხვანაირად რომა ვსთქვათ, **დამოუკიდებლად პოლიტიკური აქტის მოხდენა მხოლოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შეუძლიან.** ამიერკავკასიამ ან ხელი უნდა მოაწეროს ბოლშევიკების ზავს და დაემორჩილოს რუსეთს, რომელსაც ფინლანდია, უკრაინა და პოლონეთი გამოეყო, ან დამოუკიდებლად ბოლშევიკებისა შეჰკრას ზავი ოსმალეთთან და ეს ზავი უზრუნველჰყოს თავისი დამოუკიდებლობით. ასეთი დილემმა დასმული ამიერკავკასიის წინაშე. საშუალო გზა არ არსებობს. ბოლშევიკებმა მოსპეს ყოველნაირი საშუალება გზის არჩევისა.

ამიერკავკასიის წინაშე ახალი ჰორიზონტი იშლება. მისი მომავალი ბევრნაირ შესაძლებლობას შეიცავს. ამიერკავკასიის ხელმძღვანელი პარტიების პოლიტიკურს სიბრძნესა და შორსმჭვრეტელობაზეა დამოკიდებული, კულტურისა და პროგრესის სახით გადაიშლება ეს მომავალი, თუ პოლიტიკური და ეკონომიური მონობისა. მსოფლიო ომმა მსოფლიოს გარდაქმნა გამოიწვია და ამ რღვევისა და აშენების დროს თუ ამიერკავკასიამ მოახერხა სწორე პოლიტიკური გზის აღება, ეს ისეთი მოვლენა იქნება, რომელიც ახალს ბრწყინვალე მომავალს შექმნის ამიერკავკასიის ყველა ერისთვის.

**არ. ჯაჯანაშვილი.**

# ახალი გზით.

10 თებერვალს მოწვეული ამიერკავკასიის სეიმის სხდომები გადაიდვა მუსულმანთა წარმომადგენლების ჩამოუსვლელობის გამო; შეიძლება კიდევ არ შესდგეს სხვა და სხვა მიზეზების გამო, მაგრამ საქმე ეს არაა; საქმე იმაშია, რომ ამა თუ იმ სახით ამიერკავკასიისთვის იცნეს საჭიროდ სეიმის მოწვევა; ახალი დაწესებულების დაარსება. ყოველ პოლიტიკურ მოღვაწეს აქვს გათვალისწინებული რა არის სეიმი, მისი მნიშვნელობა და რა როლი უთამაშნია ერთა ცხოვრებაში.

სეიმს გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი და მტრები. ველიკოროსების პარტია, სოციალისტ-რევოლუციონერები და დაშნაკცაკანელები იმ აზრისა იყვნენ, რომ სეიმს უნდა შეექმნა ახალი ამიერკავკასიის მთავრობა აწ არსებულ კომისარიატის მაგიერ და ამით ამოეწურა თავის დანიშნულება. ყურადსაღებია და გასაკვირიც, რომ სეიმს ანიჭებდნენ მარტო მთავრობის ამორჩევის უფლებას. აშკარაა, რომ მთავრობა პასუხისმგებელი იქნებოდა სეიმის წინაშე, რადგანაც საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ ვინც ნიშნავს მოხელეებს, ასევე ეძლევა უფლება მათი დათხოვნისა.

ბოლოს და ბოლოს არც ერთი პარტია სეიმის წინააღმდეგი არ იყო, ხოლო კამათი გაიმართა კომპეტენციის გარშემო, ცდილობდნენ და ცდილობენ მისი კომპეტენცია და უფლებები საგრძნობლად შეზღუდონ.

რათ უნდათ ესერებსა და დაშნაკელებს სეიმის უფლების შეზღუდვა და მისი დაუძლურება? ჩვენის რწმენით, ორივე პარტია უყურებდა ახალ ცხოვრების წყაროს ეროვნული თვალსაზრისით. სეიმში არავითარი გავლენა არ ექნებათ ესერებს, როგორც პარტიას აგრეთვე როგორც ველიკოროსების წარმომადგენლებს; უწევენ წინააღმდეგობას, რადგან ჰგონიათ, რომ სეიმი დაჩრდილავს ველიკოროსების ეროვნულ ინტერესებს. ჩვენში ეს პარტია იდგა ვიწრო ეროვნულ ნიადაგზე, გახვეული სოციალისტურ ქურქში. აგრეთვე ცენტრში ეს პარტია იცავდა ვიწრო ეროვნულს პრინციპს და ერთა თავისუფლება სწამდა იმდენად, რამდენად ეს რუსის ერისთვის სასარგებლო იყო.

ჩვენი მეზობლები, დაშნაკცაკანელები იდგნენ და დგანან ეროვნულ ნიადაგზე, არასდროს ეს პოზიცია მათ არ შეუცვლიათ, მათი პოლიტიკა და ტაქტიკა ეროვნულ ფარგლებს არ გასცილებია, ერის შავბნელი ბედი, თანდაყოლილი უბედურება ნებას არ აძლევდა მათ გაეფართოვებინათ თავის თვალთახედველობა, პროგრამები რჩებოდნენ ქაღალდზე, მოქმედება და პრაქტიკული ნაბიჯები მარტო იმისკენ იყო მიმართული, რომ დაეცვათ ერის არსებობა, ფიზიკური არსებობა და მთლიანობა, და ამ სახსრის ძიებაში იღუპოდა სულიერი ძალა პარტიისა. ყოველ ახალ მოვლენას ისინი უყურებენ იჭვის თვალით, შიშობენ, ვაი თუ ამ განსაცდელის ჟამს სეიმმა ნაკლებად იქონიოს მხედველობაში სომხის ერი, მით უმეტესად, რომ ისინი სეიმში შეადგენენ შედარებით სხვა პარტიებთან უმცირესობას.

ბოლშევიკები ს.-დ. არ იღებენ მონაწილეობას სეიმში, ბრძოლა გამოუცხადეს, როგორც ნაციონალურ, ეროვნულ დაწესებულებას. ათი თებერვალი ჩანასახი ამ ბრძოლისა, უნდა ჩაითვალოს ფრიად სამწუხარო მოვლენას.

თითქმის სეიმის მთელ შემადგენლობას აქვს ეროვნული სახე, გავლენიანი მუსულმანთა პარტია—მუსავათი, ცნობილია, როგორც ეროვნული პარტია და თავის შეხედულებებს ამებრ მედგრად დაიცავს მუსულმანთა ინტერესებს.

რაც შეეხება ქართველ ერის წარმომადგენლებს ს. დ., უნდა სამართლიანად ითქვას, რომ იგინი არ იდგნენ ეროვნულ ნიადაგზე, და არცა ჰქონიათ მისკენ მისწრაფება. მაგრამ, რას იზამთ, როდესაც ერმა ანდო თავისი ბედ-იღბალი, და ხმა მისცეს როგორც ბერმა, ისე მღვდელმა. მათდა უნებურად შეიქმნა იმისთანა მდგომარეობა, რომ უნდა გადაწყდეს ჩვენში ეროვნული კითხვა, რომელსაც ასე გაურბოდნენ და რომელიც საფრთხობელად იყო გამოცხადებული.

სეიმმა უნდა გადასწყვიტოს უდიდესი კითხვა—ერების გამიჯვნა; ამის წინააღმდეგი არც ერთი ერის წარმომადგენელი არ იქნება, ერთა გადამიჯვნა ნიშნავს მათ შორის ტერიტორიის განსაზღვრას, ეს კი პირდაპირ ჰგულისხმობს ეროვნულ ერთეულების დაარსებას, ჩამოყალიბებას. ყოველ შემთხვევაში მუსავათი ამის წინააღმდეგი არ იქნება და მოსურნეა ადერბეჯანის ერთეულის დაარსებისა.

მენშევიკ ს.-დ. 19 ნოემბერს ეროვნულ საბჭოს წინაშე აღიარეს, რომ იზიარებენ ტერიტორიალურ-ეროვნულ პრინციპს და ამისდამიხედვით უნდა იყოს მოწყობილი მომავალი ამიერკავკასიისა.

აუცილებელი გახდა ეროვნული კითხვის გადაჭრა, შეიქმნა ატმოსფერა, ეროვნული გრძნობით გამსჭვალული, დატრიალდა ეროვნული სული, რათა ერი ჩააყენოს ეროვნულ კალაპოტში და მისცეს ბუნებრივი მსვლელობა ეროვნულ მიდრეკილებას.

სეიმი ვერ გადაუხვევს ეროვნულ პრინციპს და შეეცდება ცხოვრებაში მის გატარებას; სეიმი განაწილდება სამ ნაწილად: მუსულმანები, სომხები, ქართველები და, მენშევიკები ს.-დ. უნებლიედ გარდაიქმნებიან ქართულ პარტიად.

ყოველივე ღონისძიება მიმართულია იმისაკენ, რომ სეიმი გადაიქცეს მუდმივ ცენტრალურ პარლამენტად, ამაოდ ჩაივლის. ცხადია, რომ სეიმი ვერ დაეყრდნობა მუსულმანს, სომეხს, ქართველს, როგორც მოქალაქეებს, ის უნდა დაეყრდნოს ეროვნულ ერთეულებს არსებითად, ამათი ინტერესები კი, როგორც გადახლართულია, ისე განცალკევებული, ზოგჯერ თანხმობაა, ზოგჯერ წინააღმდეგობა.

მაშ რას ვუცდიდით, რას მოვანდომეთ ერთი წელიწადი, რად დავკარგეთ ძვირფასი, ნათელი დღენი? თუკი გადამიჯვნაზეა საქმე, ნუთუ არ შეეძლოთ ეროვნულ საბჭოებს ეს კითხვა გადაეწყვიტათ? იქნება სეიმი მეტის ნდობით იქნება მოსილი? გადაავლეთ თვალი ეროვნულ საბჭოების, კომისარიატის და სეიმის შემადგენლობას და დაინახავთ, რომ ერთი და იგივე პირები არიან შემდეგშიაც იგინივე დარჩებიან მცირე გამონაკლისით, ასე რომ საქმე არსებითად არ შეცვლილა; მაშ არ ემჯობინებოდა, რომ საქმე დაგვეწყო ძირიდან და ერთი წელიწადი არ დაგვეკარგა რყევაში?

**ი. ბარათაშვილი**

# ქართული პრესა

გაზეთ „ერთობის" აზრით, ბოლშევიკებმა თავის საზავო ხელშეკრულობით რუსეთი გერმანიას მიყიდეს:

ამ რუსეთის გაყიდვასთან ერთად სახალხო კომისრებმა გაყიდეს ჩვენი კუთხეც—ამიერკავკასიაც. მათ ჩვენი მხარე ოსმალეთს მისცეს პირში, ოსმალეთის ნება-ყოფლობას მიუგდეს. ხელშეკრულობის მე-5 მუხლი ამბობს, რომ რუსეთი ყოველის ღონით შეუწყობს ხელს ოსმალეთის ანატოლიის აღმოსავლეთის საზღვრების აღდგენაში.

აქ არ არის აღნიშნული, რომელ საზღვრებში და რად უნდა დაეხმაროს ოსმალეთს რუსეთი თავისივე კუთხის წინააღმდეგ? ცხადია: რუსეთი აღარ გვთვლის ჩვენ თავის ნაწილად, აღარ ზრუნავს ჩვენს ფრონტზედაც ზავის ჩამოგდებაზე. პირიქით, იგი ხელშეკრულობით ამ ზავის საქმეში ოსმალეთის მხარეზე დგება ჩვენს წინააღმდეგ და ოსმალეთს უწევს დახმარებას მთელი თავის ძალ-ღონით.

რას ნიშნავს ეს?

ბოლშევიკების კომისარებმა თავის საბატონოს—შიდა რუსეთს—მონობის ბორკილი დაადგეს, ხოლო ამიერკავკასიას, რომელიც მათ არ არ სცნობდა მთავრობად, არამედ დამღუპველათ. მტრათ ევლინებიან და მის წინააღმდეგ ოსმალეთს უდგებიან მხარში.

გაზეთი „საქართველო" სწერს ზავის შესახებ:

ასეთი ზავის შემდგომ პეტროგრადის რუსეთის სავსებით ჩამოშორებას შეეცდებიან რუსეთის ის ნაწილებიც, რომელთაც კიდევ რუსეთის ფარგლებში დარჩენის სურვილი ჰქონდათ. ყოფილ რუსეთის საზღვრებში დარჩენა ყველა ამ ერებს თანასწორ მოზიარედ გახდის იმ საშინელი უბედურებისა. რომელიც რუსეთს დაატყდა მენშევიკურ ბოლშევიკური რევოლუციისა და ზავის მეოხებით.

მხოლოდ რუსეთისაგან დაჩქარებით გამოყოფა და გამოცალკავება, როგორც მოიქცა უკრაინა და ფინლიანდია, აი ის გზა, რომელიც ამ ერებს რუსეთის უბედურების შედეგებიდან დაიცავს და თავისუფალი არსებობის საშუალებას მისცემს. ამ გზას ეჭვი არ არის ეხლა მაინც დაადგება კავკასია, ციმბირი, დონი და თურქესტანი.

ამით თავის თავს ეს ქვეყნები სავსებით გერმანიის ძალა-გავლენიდან, რასაკვირველია, ვერ დაიცავენ, მის ეკონომიურ შემოქმედების ძალას ამ ომის შემდგომ ვერ აიცდენს ვერც რუსეთის ნაწილები და ვერც უფრო სამხრეთი ქვეყნები. ჩვენი და რუსეთის სხვა ერების საზრუნავი ამ ჟამად მხოლოდ ის უნდა იყოს, რომ მათაც ველიკოროსების ბედი არ ეწვიოთ და საკუთარი ეროვნული სახელმწიფოებრივობის შექმნისა და განვითარების საშუალება არ მოესპოთ.

# ეროვნული საბჭო

**ეროვნული საბჭოს განათლების სექციაში.** 11 თებერვალს, დილის 11 საათზე, ქ. შ. წ.-კ. გ. ს. კანცელარიაში შედგა ეროვნული საბჭოს განათლების სექციასთან არსებული ქართული ენისა და ლიტერატურის კომისიის წევრთა სხდომა. კომისიის კრებას დაესწრნენ განათლების სექციის წარმომადგენელი ვ. ბურჯანაძე, ი. აბულაძე, ს. ლომია, ნ. ახმეტელაშვილი, ფ. მგელაძე, გრ. ყიფშიძე, ი. ირემაშვილი, ქ-ნი ხუნდაძე, ქ. შარაშიძე, ტ. წერეთელი და სხვა.

ქრ. შარაშიძემ წაიკითხა მოხსენება ქართული ენის და ლიტერატურის სწავლების ზოგადი პრინციპების შესახებ. მოხსენება შინაარსიანი და საბუთიანი გამოდგა, რისთვისაც კრებამ მომხსენებელს მადლობა გამოუცხადა. მოხსენებამ მცირე კამათი გამოიწვია. კამათის შემდეგ მიღებულ იქმნა მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი თეზისები. რეფერატი დაიბეჭდება პედაგ. ჟურნალ „განათლებაში", რომელსაც სცემს განათლების სექცია.

—

დღეს, საღამოს 5 საათზე, დანიშნულია განათლების სექციის კრება. გასარჩევია შემდეგი საკითხები: 1. წინამძღვრიანთ კარის სასწავლებლის საშუალო სასწავლებლად გადაკეთება, 2. ქართულ გიმნაზიის ხარჯთაღრიცხვა და 3. მიმდინარე საკითხები.

—

ჯანმრთელობის სექციის კრება შესდგება დღეს, 14 თებერვალს, საღამოს რვის ნახევარ საათზე, ფრეილინის ქ. 11.

—

სამაჰმადიანო საქართველოს სექციის სხდომა გაიმართება დღეს, საღამოს 6 საათზე.

# ოსმალების წინსვლა

გენერალ ოდიშელიძეს შემდეგი შინაარსის დეპეშა გამოუგზავნია: „ვეჰიბ ფაშამ გარკვეულად განაცხადა ომის დროს დაპყრობილი ოსმალეთის ადგილების მაჰმადიანთა დასაცავად წინ წავიწევ იმ დრომდე, სანამ რუსის ჯარს არ შევეჯახებით. სომხებისა და ეროვნულ ჯარს რუსის ჯარად არა ვსთვლით. ამიტომ გთხოვთ გამოგზავნოთ რამდენიმე ბატალიონი მაინც რუსის კორპუსისა, რომ ავანგარდად წინ წავწიოთ. იქნება ამ გარემოებამ მაინც შეაჩეროს ოსმალების წინ წაწევა. თუ არზრუმში მარტო სომხების ჯარი აღმოჩნდება, ოსმალები აუცილებლად დაიჭერენ არზრუმს".

ამ ცნობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ოსმალეთსა, უეჭველია, ძალიან კარგად იცის, რომ რუსის ჯარმა ამიერკავკასია დასტოვა და რუსეთში წავიდა. თუ ამიერკავკასიის ეროვნულ ჯარს ოსმალეთი ჯარად არ სთვლის, მას შეუძლიან წინსვლა განაგრძოს, როდემდის და რა მიზნით გაგრძელდება ეს წინსვლა, ამას დიდი ყურადღებით უნდა მოვექცეთ.

# მეორე რევოლუცია

### განხეთქილება ყაზახებს შორის.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს პეტროგრადში ცნობები მოდის, რომ ყაზახებს შორის დიდი განხეთქილებაა, ყაზახობის უღარიბესი ნაწილი კალედინისა და შეძლებულ ყაზახების წინააღმდეგია. თითქმის ყველა „სტანიცაში" ამ ჟამად ხოცვა ჟლეტაა.

### სურსათი პეტროგრადში.

ამ ჟამად პეტროგრადში გირვანქის მეოთხედ პურს არიგებენ სულზე. ასეთი ნორმა რომ დარჩეს, ისიც მხოლოდ 5—6 დღით ეყოფათ ის პური, რომელიც პეტროგრადშია. სურსათის მოტანა ყოვლად შეუძლებელია. უბედურების დაღწევა მხოლოდ იმით შეიძლება, თუ ენერგიულად გაჩხრეკენ კერძო ბინებს და საწყობებს, სადაც დიდძალი სურსათი უნდა იყოს გადამალული.

### ვალუას მოკვლა.

პეტროგრადში მოჰკლეს ალექსანდრეს თეატრის არტისტი ვალუა. მკვლელები დააპატიმრეს.

## ფინლანდიაში.

### შვეცია და ფინლანდია.

შვეციის მთავრობა, რომელიც თავის შინაურ საქმეებშია გართული, არას შემთხვევაში არ ჩაერევა იმ ბრძოლის საქმეებში, რომელიც ფინლიანდიაში ხდება. შვეციის მხრით ფინლანდიის ოკუპაცია წარმოუდგენელია, როგორც ამას გადმოსცემენ.

### ფინლანდია და რუსის ჯარი.

გარეშე საქმეთა სახ. კომისარმა ტროცკიმ განაცხადა, რომ რუსის ჯარი არ ჩაერევა ფინლანდიაში წარმოებულ ბრძოლაში იმ პირობით, თუ თეთრი რაზმელები მტრულ განწყობილებაში არ იქნებიან რუსის ჯართან და საომარ მოქმედებას არ აწარმოებენ მის წინააღმდეგ. მაგრამ რადგან ცენტრობალტიდან ცნობები მოვიდა, რომ ამას წინათ თეთრი რაზმელები რუსის ჯარით სავსე მატარებელს ესროდნენ, სახალხო კომისარებმა არტილერია გაგზავნეს ფინლანდიაში თეთრი რაზმელების წინააღმდეგ. არტილერია—როგორც ეს მოსულ ცნობებიდან სჩანს, უკვე შეებრძოლა თეთრ რაზმელებს: უკანასკნელნი ვიბორგში გაიქცნენ, ვიბორგი წითელი რაზმის ხელშია მთლად.

### წითელი და თეთრი რაზმი.

წითელ და თეთრ რაზმელებს შორის დიდი ბრძოლაა. მრავალი დაჭრილი მოჰყავთ ფინლანდიის სადგურზე, რომელიც უკვე მისაღებ პუნქტად იქცა. დაჭრილები ამბობენ, რომ ბრძოლაში ჯერ-ხნობით გამარჯვებულნი წითელი რაზმელები არიან. თეთრი რაზმი იხევს. მას ეხმარებიან გლეხები, რომელნიც თავშესაფარს აძლევენ თეთრ რაზმელებს და სურსათსაც აწვდიან.

### რევოლიუციონური წესი ფინლიანდიაში.

ფინლანდიაში წითელმა რაზმმა რევოლიუციონური წესი გამოაცხადა. ამის ძალით იარაღის ტარების ნება არა აქვს ყველა იმას, ვინც სამხედრო სამსახურში არ იმყოფება ან წითელ რაზმში არ ირიცხება; ასეთი პირები 24 საათის განმავლობაში ვალდებული არიან ჩააბარონ იარაღი წითელი რაზმის დანიშნულ პირებს. დამნაშავეთ სარევოლიუციო სასამართლოში მისცემენ. კონტრ-რევოლიუციონური მოქმედება, ძარცვა-გლეჯა და უწესოება მკაცრი კანონებით იქნება დასჯილი, თეთრ რაზმელებს აპატიმრებენ. სენატორებს დასაპატიმრებლად ეძებენ.

### სოციალისტური ბანკი.

სუმაში (ხარკოვის გუბ.) დაარსდა პირველი მთელ მსოფლიოში სოციალისტური ბანკი, რომლის ძირითადი თანხა 10 მილიონი მანეთია. ბანკის მიზანია ფინანსიური დახმარება გაუწიოს ყველა იმ დაწესებულებას, რომელიც ეროვნულ კუთვნილებად უნდა იქცეს შემდეგში. განსაკუთრებით ყურადღებას მიაქცევენ შაქრის ქარხნებს.

### უკრაინაში.

ბოლშევიკების ჯარებმა აიღეს კიევი, 26 იანვარს ცენტრალურ რადის წარმომადგენელი აღარავინ დარჩა. უკრაინული გაზეთები აღარ გამოდის.

### ანარქისტები.

ანარქისტები პეტროგრადში ორ ჯგუფად გაიყვნენ. მწვავდება დამოკიდებულება ანარქისტებსა და ბოლშევიკებს შორის.

### მუშათა შორის.

გაზ. „ნ. ჟიზნ"-ს ატყობინებენ მინსკიდან მუშები დიდად უკმაყოფილონი არიან. ბოლშევიკებისა მათი გამეფებული ტერორისა გამო. ბევრი მუშა გადაუდგა ბოლშევიკებს და მოსალოდნელია უფრო დიდი განხეთქილება.

### ბეზობრაზოვი.

ტფილისის სახელმწ. ბანკის კანტორის ყოფილი გამგე ბეზობრაზოვი ბოლშევიკებმა სახელმწიფო ბანკის გამგედ დანიშნეს პეტერბურგში. ეხლა აღმოჩნდა, რომ ბეზობრაზოვს დიდძალი სახელმწიფო ფული და ქონება გაუფლანგავს. იგი დააპატიმრეს.

### ზავის გარშემო.

რიგის საბირჟო კომიტეტს დაუდგენია, რომ გერმანიას შეუერთდეს კურლიანდიასთან ერთად ლიფლანდია და ესტლანდია.

ტრაპიზონში შემოვიდნენ ოსმალეთის რეგულიარული ჯარები, რომლებმაც განაცხადეს რომ წინააღმდეგობას არ გაუწევენ რუსეთის ქონების გატანას.

# ომი

რადიოტელეგრამა მიღებული რადიოს სადგურ „გიორგი პობედონოსცზე" 25 თებერვალი. ბერლინი. ოფიციალური. აღმოსავლეთის ფრონტი. ეიჰორნის ჯარი. ჩვენმა ჯარებმა დაიპყრეს ქ. პერნოვი, სადაც 111 ესტონთა ბათალიონი ჩვენს მხარეს გადმოვიდა. გუშინ შუადღემდე მე-18 საშტურმო კოლონა და მე-16 ჰუსართ პოლკმა დაიპყრეს ქ. იურიევი ტყვეთ წამოიყვანეს 3000 კაცი, და მრავალი ასეული ურმები. ასე რომ ჩვენმა ჯარმა 5 დღეში ხსენებულ ფრონტზედ 210 კილომეტრი გაიარეს.

ლინზინგაიმის ჯარი. როვნოში ჩვენ ტყვეთ ჩავიგდეთ რუსეთის განსაკუთრებითი არის შტაბი, რომლის მთავარსარდალიც გაიქცა. ჩვენმა მოწინავე რაზმებმა ჟიტომირამდი მიაღწიეს, სადაც შეუკავშირდნენ უკრაინელთა ჯარს.

გენერალ კვარტირმეისტერი ლუდენდორფი.

# ახალი ამბავი

◆ **ეშელონების მიტინგი.** რუსეთისკენ მიმავალ ეშელონებს 300 ვერსტზე მიტინგი ჰქონდათ. გამოიტანეს რეზოლიუცია ბოლშევიკური გაზეთების დაკეტვის და ალექსანდრეს ბაღში მომხდარ ამბების წინააღმდეგ. რეზოლიუცია 12 ამ თვეს ამიერკავკასიის კომისარიატს გადასცეს.

◆ **ბოლშევიკების რეზოლიუცია** მეტეხის ციხეში დატუსაღებულ ბოლშევიკებს შემდეგი რეზოლიუცია გამოუტანიათ: აღშფოთებულნი ალექსანდრეს ბაღში უდანაშაულო ხალხის დახვრეტით, ბოლშევიკური გაზეთების დაკეტვით და იმით, რომ დაგვატუსაღეს უმიზეზოდ და ბრალდება არ წარმოგვიდგინეს, მოვითხოვთ, რომ დაუყოვნებლივ მოხდეს სასტიკი გამოძიება ალექსანდრეს ბაღში მომხდარ ამბებისა, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა სარევოლიუციო და სოციალისტ. ორგანიზაციებმა, მოისპოს რეპრესიები ბოლშევიკური პრესის წინააღმდეგ და დაგვიბრუნდეს ჩვენ მოქალაქობრივი უფლებები. ვიდრე ჩვენი მოთხოვნილებანი არ იქნება დაკმაყოფილებული, ვაცხადებთ სიმშილობას და არავითარ საჭმელს არ მივიღებთ.

◆ **არეულობა ტფ. განაპირა უბნებში.** ტფილისის განაპირა უბნებში ყოველ საღამოს ხოცვა ჟლეტაა. კვირას, [illegible] მოკლეს, მაგრამ, სამწუხაროდ, [illegible] არავითარ ყურადღებას არ აქცევს ასეთ მოვლენებს.

◆ **დაიკარგა კაცი.** 7 თებერვალს, „ნადიროვკიდან" წავიდა საავადმყოფოში ავადმყოფი 45 წლის ბესო გვილეთიანი. თან ჰქონდა პასპორტი, წითელი თმები აქვს, ჭაღარა ურევია, ძალიან გამხდარია, ძველი ტანისამოსი აცვია. თუ ვინმემ რამე იცის ვთხოვ შეატყობინოს მე მის ცოლს ანნა გილეთიაშვილის ნადიროვკაში

◆ **ცრუ კომენდანტები.** ქალაქთა კავშირის ლაზარეთში № 50, რომლის ლიკვიდაცია ხდება, მისულა ვინმე პრ. კოჩარიანი უთქვამს მე ვარ არამიანცის სახლის კომენდანტიო, წარუდგენია უნომრო და უთარიღო ქაღალდი და მოუთხოვნია თეთრეულობა. გამგეს რომ უარი უთქვამს, კოჩარიანს ჯ.-კაცები და ძალით წაუღია თეთრეულობა და საბნები. მერე მოსულა მეორე აფიცერი და იმასაც მოუთხოვნია თეთრეული, მაგრამ შემდეგ უკან გაბრუნებულა.

◆ **ქუთაის-ხონი-სამტრედიის რკინის გზა.** მოკლე დროში ქუთაისში გაიმართება ქუთაისის, ხონის და სამტრედიის წარმომადგენლების თათბირი ამ ადგილების რკინის გზით შეერთების შესახებ. წყალტუბოსკენ გაყვანილი იქნება პატარა შტო, მაგრამ შეიძლება მთავარმა ლიანდაგმა ამ სოფელზე გაიაროს. რკინის გზის გამართვამდე ქუთაის-ხონს- და სამტრედიის შორის მოეწყობა საავტომობილო მოძრაობა.

◆ **ახალციხე.** დეპეშით იტყობინებიან, რომ მღელვარება, რომელიც გამოიწვია ქართ. პოლკის აფიცრის მოკვლამ, უკვე დაცხრა, ქალაქს და მაზრაში სიმშვიდე ჩამოვარდა.

◆ **სეიმი.** გუშინ მოხდა გაგრძელება ამიერკავკასიის სეიმისა, რომელიც 10-ს გადასდეს ამ დღისთვის. თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს კ. ჩხეიძე. კომისარიატის თავმჯდომარემ ე. გეგეჭკორმა მოახსენა სეიმს ანგარიში მთავრობის მოქმედებისა. შემდეგ აირჩიეს სამი კომისია: საზავო, სამანდატო და საპარლამენტო. საზავო კომისიაში შედიან ორ-ორი წარმომადგენელი დიდ ფრაქციისა და თითო მცირე ფრაქციიდან. ჩვენის პარტიის მხრივ საზავო კომისიაში არჩეულია ამხ. გიორგი ლასხიშვილი.

### შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის ნ. 167 ში დაბეჭდილ ეროვნულ საბჭოს კრების ანგარიშში ბ. კ. აბხაზის სიტყვაში ნათქვამია: **„დანარჩენი 20 პროცენტი (თ.-აზნაურობისა) საშუალოდ ათი დესეტინის პატრონია".**

უნდა იყოს:

**პატრონია საშუალოდ არა უმეტეს ათი დესეტინისა.**

# სოფლად და ქალაქად

## ბათომი

◆ კვირას 18 თებერვალს დღის 12 საათზე ბათომის ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ბათომის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება. განსახილველია: 1) განყოფილების გამგეობის კულტურულ ეკონომიური მოქმედება 1917 წელს 2) 1917 წლის შემოსავალ გასავლის ანგარიში; 3) ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ბათომის განყოფილების და სამაჰმადიანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებათა შეერთება თანახმად ეროვნულ საბჭოს დადგენილებისა. კრებაზე ხმის უფლება იქნება იმ წევრსა, რომელიც 1917 წლის საწევრო გადასახადი შეტანილი აქვს ან კრების გახსნამდის შემოიტანს საჭიროა რაც შეიძლება მეტი წევრი დაესწროს.

## ახალციხე

◆ მაჰმადიანებმა აწყურში შეიპყრეს ქართ. ოფიცერი ძიძიგური და ერთი სხვა მისი ამხანაგი, იარაღი აჰყარეს მათ და ოთხი საათის შემდეგ გაუშვეს, ძიძიგური 4 ვერს იქით მოკლულ იქნა, მხოლოდ ამხანაგმა გაქცევით უშველა თავს. მდგომარეობა კვლავ კიდევ გართულდა და გამწვავდა მაჰმადიანსა და ქრისტიან ქართველთ შორის. სომხები ბევრნაირ შემასისინებელ სიტყვებს ხარჯავენ; ეუბნებიან ქართველებს: თქვენ აწყურში შეიტაკეთ მაჰმადიანებს და იქ ქალაქს ჩვენ დავიცავთო.

# საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

**დღეს საღამოს 6 საათზე პარტიულ კლუბში დანიშნულია ქალთა შრომის კომისიის კრება.**

— პარასკევს, 16 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, პარტიულ კლუბის დარბაზში დანიშნულია ტფილისის კომიტეტის საგანგებო კრება, რომელზედაც მოწვეულნი არიან შემდეგი უბნების ხელმძღვანელები: ნაძალადევისა—ამხ. ჭაჭავაძე და ჭანტურია, ერთობის უბნის—მ. ქეშელაშვილი და ყირმელაშვილი, კუკიის—ფსტიაშვილი და გაბიჩვაძე, ავლაბრის—თ. ნასიძე, ხარფუხის—ჭიჭინაძე, ჩუღურეთის—მეძველიშვილი და პარკაძე.

# საქართვ. ეროვ. საბჭო

11 თებერვალი.

ამ დღის კრება, რიცხვით მერვე, დანიშნული პირველის ნახევარზე იყო გაგრძელება წინა კრებისა, რომელზედაც კამათმა სოფლის ანარქიის შესახებ ისე ცხარე მიმართულება მიიღო, რომ გაძნელდა შეთანხმებით გამოტანა რაიმე დადგენილებისა, რეზოლიუციისა.

რომ ამ დღესაც იგივე არ გამეორებულიყო, ფრაქციები კრების წინასწარ შეთანხმდნენ და ამის გამო კრების გახსნა დახანდა.

კრებას კვლავინდებურად თავმჯდომარეობს აკ. ჩხენკელი.

დღის წესრიგია: 1) ანარქია სოფლად; 2) ტფ. სადგილ-მამულო ბანკის მდგომარეობის შესახებ; 3) ერთ მილიონ მანეთის სესხად აღება; 4) საბჭოს რეორგანიზაცია; 5) საზოგადო მზრუნველობის სექციის დაარსება და 6) მიმდინარე საკითხები.

**გრ. რცხილაძე** ჰკითხულობს წინად წარმოდგენილ რეზოლიუციას, რომელიც შეიცავს 4 მუხლს: 1) შეიქმნას მტკიცე და ძლიერი მთავრობა; 2) მიწის საკითხი გადაწყდეს თანახმად რუსეთის რევოლიუციის ლოზუნგებისა; 3) ეროვნული საკითხი გადაიჭრას მთელს ამიერკავკასიაში და 4) ანარქიის მოსასპობად მიღებულ იქმნეს გაბედული და ენერგიული ღონის ძიებანი.

**კ. გვარჯალაძე** (სოც. დემ.) ფრაქციის სახელით ჰკითხულობს ასეთს რეზოლიუციას:

მოისმინა რა ეროვნულმა საბჭომ მოხსენება შესახებ ანარქიისა სოფლად, ერ. საბჭო საჭიროდ სცნობს: რევოლიუციის გასამაგრებლად და სოფლად ანარქიის მოსასპობლად მთავრობამ გადადგას ენერგიული და მტკიცე ნაბიჯი. დაუყონებლივ მიღებულ იქმნას საჭირო ზომები, რათა უსასყიდლოდ გადაეცეს მშრომელ ხალხს ის ადგილ-მამულები, რომელნიც აღნიშნულია ამიერკავკასიის კომისარიატის დეკრეტში. გაგზავნილ იქმნას ხალხში საგიტაციოდ და დიდი ყურადღება მიექცეს ხალხის შეარაღებას, რათა სასტიკად შეებრძოლონ ყოველგვარ შავრაზმულ ანარქიულ გამოსვლებს და საზიზღარ ცარცვა გლეჯას.

ხმის უმრავლესობით უარყოფილია გრ. რცხილაძის რეზოლიუციის პროექტი, ხოლო კ. გვარჯალაძის წარმოდგენილი რეზოლიუცია მიღებულია და ედება საფუძვლად იმ დადგენილებას, რომელსაც კრება მიიღებს.

**გ. გვაზავა** (ნაც. დემ.) ამ ორ რეზოლიუციაში ჩვენ უფრო მენშევიკების რეზოლიუციას ვემხრობით, თუმცა ის ადგილი, სადაც კომისარიატის დეკრეტია ნახსენები, არსებითად ეწინააღმდეგება ჩვენ აზრს-სურვილებს მიწის საკითხის თაობაზე. ამ დეკრეტის შემუშავება-გამოცემაში ჩვენ არავითარი მონაწილეობა არ მიგვიღია, იგი არც შეეფერება მშრომელი ხალხის ნამდვილ ინტერესს. რაც შეეხება მთავრობის უძლურობას, ამ მხრივ უმჯობესად მიგვაჩნია გრ. რცხილაძის რეზოლიუციის პროექტიც მტკიცე და ძლიერი მთავრობის შექმნაზე რომ პირდაპირ ლაპარაკობს.

**მ. ლახნიშვილი** (სოც.-ფედ.) არც ჩვენი ფრაქცია იზიარებს სავსებით იმ დეკრეტს, რომელსაც გვარჯალაძის რეზოლიუცია იხსენიებს. მაგრამ არა იმ მოსაზრებით, რა მოსაზრებაც მის წინააღმდეგ მოჰყავთ ნაციონალ დემოკრატებს, რომელნიც მემამულეთა ინტერესების ერთნაირი შელახვით უკმაყოფილონი არიან და თავგამოდებით იცავენ კერძო საკუთრებას. არა. ჩვენი ფრაქცია არ იზიარებს ამ დეკრეტს სავსებით იმიტომ, რომ იქ კიდევ დარჩენილია კერძო საკუთრება. მიუხედავად მისი ასეთის ნაკლისა ჩვენ ვითხოვთ იგი დაუხანებლივ იქმნას ცხოვრებაში გატარებული. რაც შეეხება ძლიერ მთავრობას, ამაზე უკვე თქვა აზრი ჩვენის ფრაქციისა: ჩვენ გვინდა შესდგეს ძლიერი, ავტორიტეტული მთავრობა. რაკი ჩვენი რეზოლიუცია არ იქნა მიღებული, ჩვენი ფრაქცია უერთდება გვარჯალაძის რეზოლიუციას.

**გ. ქიქოძე** (ნ.-დემ.). ზომებთან ერთად უნდა გამოითქვას სურვილი მოხდეს რეფორმები. იმ მთავრობას, რომელიც არ არის მტკიცე, არ ძალუძს გადასდგას ისეთი ნაბიჯები, რომ ნაჩვენები ღონისძიებანი შესრულებულ იქმნას. მიწის უსასყიდლოდ გადაცემა, რომელსაც რეზოლიუციით თხოულობთ, შეუძლებელია არა წოდებრივის, არამედ ეროვნული თვალსაზრისითაც. ამ საკითხს თქვენ საფრანგეთის რევოლიუციის უკეთესად ვერ გადასწყვეტთ—მან კი მიწა ფასით გადასცა. მიწა უნდა გაიყიდოს იმიტომაც, რომ მთავრობამ ფინანსიური კრიზისი გაანელოს სოფლიდან, გლეხებისაგან ფულის გამოწოვით. საჭიროა შეიქმნას ისეთი იმპულსი, რომელიც ზედმეტ ხორბალს და ქერნახულს გააყიდვინებს.

**ახათიანი** (ნაც.-დემ.) შემოაქვს ორი შესწორება: ღონისძიებანი მოხსენებულ იქმნას თავში და მეორე—დეკრეტი არ იყოს მოხსენებული. მაგრამ კრება ორივე შესწორებას უარჰყოფს. ასევე უარჰყოფენ გვაზავას შესწორებას. ამრიგად კ. გვარჯალაძის რეზოლიუცია უცვლელად მიღებულია.

რაც შეეხება სოფლებში ეროვნულ საბჭოს მხრივ გასაგზავნ წარმომადგენლებს, მათს არჩევას და გაგზავნას, კრება ავალებს თვით აღმასრულებელ კომიტეტს.

მეორე საკითხი ყოფილ სათავად-აზნაურო ბანკის მდგომარეობას შეეხებოდა. ამ საკითხის მომხსენებელი იყო **გ. გვაზავა** (ნ.-დემ.). სურათი საგნისა მოკლედ ასეთია: ბანკი კრიზისს განიცდის, იანვრიდან თებერვლამდე ოპერაციები არ ყოფილა. ამ ბანკის მოსამსახურენი ჩაეწერნენ რუსეთში შემდგარ ბანკთა კავშირში და მოთხოვნილებას ძალიან წაუმატეს. რომ ბანკმა ისინი ამ სახით დააკმაყოფილოს, მაშინ მოსამსახურეთა შენახვა მას დაუჯდება 200 ათასი მანეთი. შარშან კი ბანკს მარტო 300 ათასი მან. მოუგია. საკითხის გადაწყვეტა შეუძლია რწმუნებულთა კრებას. რწმუნებულებს შეადგენს 105 კაცი მსესხებელთაგან არჩეული და მეორე 105 კაცი თავადაზნაურთაგან, ანუ ეროვნ. საბჭოსაგან. ამისათვის უკანასკნელის აღმ. კომიტეტი შუამდგომლობს აირჩიონ 30 კაცი ყველა ფრაქციიდან (15 მენშ., 5 სოც. ფედ., 5 ნაც.-დემ., 3 სოც.-რევ. და 2 რად.-დემ.), ხოლო დანარჩენ 75 დასახელება მოჰხდეს თავადაზნაურთა სიიდან.

საბჭო ადგენს მცირე კამათის შემდეგ: 1) [illegible], თანახმად მოსამსახურეთაგან გამოთქმულ თანხმობისა, მოჰხდეს რწმუნებულთა ჩვეულებრივი კრება და 2) მიენდოს აღმასრულებელ კომიტეტს სარწმუნო პირების დასახელება.

მესამე საკითხი მილიონის სესხად აღება. მომხსენებელი **კ. მესხი** მოკლედ მოახსენებს კრებას, რომ საბჭოს არსებობისა და ზრდისათვის საჭიროა ფული დაახლოებით 1 მილიონი მანეთი. აქედან ნახევარ მილიონს ვექსილებით ავიღებთ 15 ბანკიდან, მათი ქონებისდა მიხედვით, ხოლო მილიონის მეორე ნახევარზე ლაპარაკი არ გვქონია.

**ახათიანი** ეკითხება: უზრუნველყოფილია რაიმე ქონებით ეს სესხი თუ არა?

**გ. ჟურული** რა გეგმით უნდა მოხდეს ვალის გასტუმრება? გათვალისწინებულია თუ არა სახაზო ეროვ. საბჭოს შემოსავლისა და წყარო ვალის გასტუმრების?

ბოლოს კრება ადგენს ნახევარი მილიონი მანეთი სესხად აიღოს.

**გ. რცხილაძე.** (ს.-ფ.) წინადადებას იძლევა სექციამ წარმოადგინოს საფინანსო გეგმა—რაზე უნდა დახარჯვა ფულისა და როგორ, აგრეთვე რა წყაროებიდან მოელის შემოსავალს.

საბჭო ამ წინადადებას ერთხმად იღებს.

საბჭოს რეორგანიზაციის საკითხიც მოკლედ არის მოხსენებული: თანახმად ეროვნულ ყრილობაზე გამოთქმულ სურვილისა, საბჭოში წევრებად შედიან რუსეთის დამფუძნებელ კრების ქართველი წევრნი, ხოლო თუ ეს კრება არ შესდგა, მაშინ სეიმის ქართველი დეპუტატები, ამ სახით დღევანდელ საბჭოს ემატება 13 მენშევიკი და თითო სოც. ფედერალისტი და ნაც.-დემოკრატი.

**გ. გვაზავა.** ჩვენ ფრაქციის ინტერესებს ეროვნულმა საბჭომ მიიღოს რამე საპარლამენტო დაწესებულებისა. წევრთა გამრავლება კი არავითარ რეორგანიზაციას არ წარმოადგენს. მენშევიკები ძველებურად უმრავლესობაში არიან, ჩვენ კი ისევ ოპპოზიციაში ვართ. (თავმჯდ. სიტყვას აწყვეტინებს).

**გ. რცხილაძე** ჩვენ ეროვნულ ყრილობაზე იმ აზრის ვიყავით, რომ დეპუტატების შემატებით საბჭოს შემადგენლობაში მდგომარეობა არ შეიცვლება. და თუ ამას ყრილობაზე დავსთანხმდით, მხოლოდ ეროვნულ ერთსულოვნობის დემონსტრაციისთვის. წარმოდგენილ რეორგანიზაციით საქმეს არავითარი სარგებლიანობა და დაწინაურება არ დაეტყობა. ჩვენ ვაყენებთ საკითხს საბჭოს ორგანიზაციისას, ისე დავაყენოთ მისი მუშაობა, რომ გავლენიანიც გახდეს ხალხშიც და ძლიერიც.

**გ. გვაზავა** (ადგილიდან:) თუ მე შემაწყვეტინეთ, ეგეც გააჩუმეთ.

საბჭომ გადასდო ამ საკითხის განხილვა 14 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 12-ისა მიიღო „რეორგანიზაციის" წარმოდგენილი პროექტი.

საკითხი საზოგადო მზრუნველობის რიცხვის მე 14-ე სექციის დაარსებისა ასეთივე ოპპოზიციას იწვევს წინააღმდეგ მენშევიკებისა. **გრ. რცხილაძე** აცხადებს: აქ ყოველივე უწესობა წესრიგის სახით ტარდება. მაგრამ ხომ ხედავთ, რომ სექციები დღეს ვერაფერს ვაკეთებთ. რაღაცას მივედ-მოვედებით, ხოლო არსებითად არას ვაკეთებთ. ვლაპარაკობთ შემადგენლობის შეცვლაზე, მაგრამ იგი არ ხდება. ვიმეორებ—საჭიროა ნამდვილი რეორგანიზაცია ჩვენის მუშაობისა.

თავმჯდომარე საჩქაროდ უყრის კენჭს ამ წინადებას და საბჭოც ხმის უმრავლესობით იღებს.

საბჭომ მოისმინა აგრეთვე ექიმ გ. ლამბაშიძის განცხადება შესახებ ცემის სანატორიუმის გაძარცვისა და მიანდო აღმ. კომიტეტს ზომები მიიღოს სანატორიუმის დასაცავად.

შემდეგ გ. გვაზავა ჰკითხულობს რუსულ ტექსტს იმ დეპეშისას, რომელიც რუსეთ-გერმანიის ზავს შეეხება და რომელიც ჩვენ გაზეთში იყო მოთავსებული.

კრება სრულდება $4^1/_2$ საათზე.

# ჰა უუუ, მამულიშვილნი!..

„თუ პური დროზე მიაკარ,
მაშინ ნამცხვარიც შენია,
თუ არა მასაც წაგართმევ,
თუ რამე გადაგრჩენია"...

შ. მღვიმელი.

სამშობლოს მაღალ მთების აქოჩრილ მწვერვალიდან უნდა გადმოგივლოთ გამწარებული, მამულიშვილნო. ჰა უუუ, ვაჟკაცნო, ქალნო, ყრმანო, სამშობლო და მშობელი ერი განსაცდელშია! საუკუნოების ბნელ გრიხილებში საქართველოს ბევრჯერ ჩაუჩოქნია ველურ ურდოების ცეცხლისა და მახვილის წინაშე, ქართველი ვაჟკაცის გული თვის სამშობლოს პაწია, მაგრამ კოჭან მკერდზე ბევრჯერ დადაღულა და სისხლით, დაწრეტილა, ქართველი დედის მანდილი ბევრჯერ შემოფხრეწილა და ნამუსი შეგინებულა, ქართველი ყრმის უმანკო სისხლი მტრის მახვილს ბევრჯერ წვეთ-წვეთად ჩამოსდენია, საქართველოს ლამაზი მიდამოები ბევრჯერ გადაბუგულა და შავ უდაბნოდ მაგრამ... მაგრამ ქართველ ერს განსაცდელით პირში სული მაინც შერჩენია და სახე-ჩამოხოკილი და თავზე ნაცარ-გადაყრილი არ უთქვამს სასოწარკვეთით მწუხარე „მდინარეთა ზედა ბაბილონისათა"... მამულის ნანგრევებში, დაწვარ სამშობლოს ფერფლში თვის იმედი. ჩაუმალია, და როცა ბედს სახე უბრუნებია, ისევ განახლებული და სიმხნით აღდგენილა, და მოუცა საუკუნის კარამდე თვის არსებობა, თუმცა შელახული და შეგინებული, მოუტანია. და.. თითქოს ამ კულტურისა და თან ველურობის საუკუნის ბჭე ვეღარ შეულღევია და მის წინ უწყლოდ და თითქოს უკანასკნელად ჩაქრალა. მამულიშვილნო! დასამალი აღარაფერია, საქართველო ასეთ განსაცდელში შაჰაბაზისა და ალა-მაჰმადხანის) დროსაც არა ყოფილა და ქართველი ერი თვის ხვედრის სიმძიმისგან ასე არასდროს დადრეკილა. ყოველ დღეს, არა თუ ყოველ დღეს ყოველ ჟამს, ყოველ წუთს ჩვენთვის სიკვდილი მოაქვს და გლოვის ზარი დასაგუგუნებლად არის გამზადებული „სულთათანასთან" ერთად, თუ უკანასკნელი ღონე არ მოვიკრიბეთ და ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი ქონება, კეთილდღეობა არ შევაგებეთ საფრად წინ შავ განსაცდელის ტალღებს. მტერი ვარეთ, მტერი შინ, მტერი საკუთარ ოჯახში, მტერი გზაში, ორღობეში, შარა-გზაზე, მტერი ყველგან, სადაც კი ჰაერი მოძრაობს და სული ბრუნავს და ამ დროს..... როცა ამასაც, ვისაც მთელ თავის სიცოცხლეში ჩოთქი და ადლი სჭერია მხოლოდ და ეხლა თოფი და მახვილი მოუმარჯვნია საკუთარი არსებობის და მშობელი ერის გადასარჩენად, ამ დროს მეთქი ჩვენ ისევ ლაპარაკის ხანაში ვართ და უზრუნველად მხარ-თეძოზე წამოწოლილი ვნებია ამშლელ ცრუ ოცნებას მივცემივართ, ვაგლახ! ფრიად დაჩიავებულა და დაკანონებულა ქართველი ერი, ძველად რომ ერთი კაცის დად ხიზანიც თოფითა და კაპარჭით იმოსებოდა და რისხვადა და მეხად ატყდებოდა შორით მოსულ მტერს...

ეხლა... მამულის სასოწარმკვეთ ძახილსაც ვერ შეურხევია ქართველის გული, თითქოს მტერი წარწინ კი არა, ცხრა მთას იქითა გვყავდეს, თითქოს ჩვენს თავზე მახვილი კი არა, გვირგვინი იფერებოდეს, თითქოს სიკვდილის სუდარა კი არა, სამეფო ბისონი გვიმზადებოდეს, თითქოს გლოვისა და ვაების ხმა კი არა. ზეიმი და მაყრული ატკბობდეს სმენას. ვაი იმ ერს მართლაც, რომ მარცხდება და კი ვერა გრძნობს, რომა მარცხდება, კვდება და არც კი იცის, რომ სიკვდილი თავს დასტრიალებს!..

მამულიშვილნო. ჟამი არ იცდის, განსაცდელი თავის მახვილს უფრო ულესავს პირსა, სიკვდილი გამარჯვების მანტიით იმოსება და სამშობლო, თქვენგან დავიწყებული, უკვე უფსკრულში გადაჰყურებს! ნუ ვიქმთ ისე, რომ მტერმა ჩვენივე კბილით გაგვაგდებინოს დის ხორცი საგლეჯი, ნუ ვიქმთ ისე, რომ ჩვენივე თვალით უყუროთ, კერას როგორ აგვინიავებენ, დედებს, ცოლებს როგორ გაგვიუპატიურებენ; ნორჩ შვილებს მახვილზე როგორ წამოაგებენ; ნუ ვიქმთ, რომ ჩვენივე თვალით დავტკბეთ მათ უმანკო, სისხლის დღვრით და ტანჯვით და წამებითა! ნუ ვიქმთ, სამშობლოს ძველი დიდებისა და პატივის უკანასკნელი მანდილი შემოაფხრიწონ და მის დაიარაღებულ მკერდზე ჯალათობის, ველურობის, მხეცობის, კოცონი აავიზგიზონ! ნუ ვიქმთ, რომ ქართველ ერს, გასრესილსა და გაძარცულს, სამშობლო დაკარგულს და გულდა-აკიდებულს მოუხდეს ქვეყანად წოწალი, ვით ერს უსავანოსა და უბედურს!..

მამულიშვილნო, ყველანი გამოსადეგნი ხართ ეხლა, ჯანმრთელნიც, ავადმყოფნიც, ჯეელნიც, მოხუცნიც ქალნიც, ყმანიც, კუტნიც და უსინათლონიც, ყველა, ვისაც კი უყვარს სამშობლო, უყვარს ერი, უყვარს ცოლი, შვილი, სახლი, მიდამო, ყველა, ვისაც ჰსურს თვის სამშობლოს, თვის დედის, ცოლისა და შვილის სისხლში არ ამოიბანოს ხელი!..

მამულიშვილნო! შემოკრბით საქართველოს ეროვნულ საბჭოს გარშემო, ჩაეწერენით ქართულ ჯარში, მოიტანეთ თქვენი წვლილი მამულის გადასარჩენად! დაყოვნება სიკვდილია, ღალატია მამულისა, ღალატია მშობელი ერისა! დაჰკრათ საყვირი, დაჰკრათ ებანი და წინწილნი ჰა უუუ ვაჟკაცნო, ქალნო, ყრმანო, მოხუცნო!.. მამული განსაცდელშია, ხალხი განსაცდელშია!.

დროზე! შველა! გადავარჩინოთ ის, რაც ხელთ შეგვრჩენია, თორემ დავკარგავთ არა თუ დღევანდელ თავისუფლებას, დავკარგავთ იმასაც, რაც საუკუნის განმავლობაში მტარვალის ხელიდან გადაგვრჩენია...

და მაშინ...

**ხანგანიძე**

# † ლევან ციციშვილი

გულსშემზარავ ამბებს ვღებულობთ ქართლიდან. სოფ. წრომში მოუკლავთ ლევან ციციშვილი და გაუძარცვნიათ მთელი მისი ოჯახი. გამხეცებულ განადირებულ ყაჩაღთა ბრბოს, რომელიც, სამწუხაროდ, თავს რევოლიუციონერს უწოდებს და ამით ჰბილწავს თავისუფლების წმიდა დროშას—საზიზღარი, გამოუსწორებელი საქმე ჩაიდინა. გული გაუგმირეს იმ ადამიანს, რომელიც მთელი თავისი არსებით მშრომელი ხალხის მეგობარი და რწმენით სოციალისტი იყო. ხელი აღეს ადამიანზე, რომელიც მთელი თავისი ცხოვრებით და მოქმედებით ცდილობდა ხალხში სამეურნეო ცოდნის სინათლის შეტანას. რა ტრაგედიაა, რა დაცინვაა ბედისა!

უმაღლეს სწავლა მიღებული, პატიოსანი, ადამიანი რომელსაც სიყვარული და ნდობა ჰქონდა გლეხებში დამსახურებული—აი, ვინ იყო ლევან ციციშვილი. მუდამ ამ დღის, რევოლიუციის მონატრული და მისთვის მებრძოლი იყო განსვენებული და წარსულ მოძრაობის დროს, როდესაც რეაქციამ გაიმარჯვა—იგი დააპატიმრეს და თითქმის წელიწადს იჯდა მეტეხის ციხეში. სულ უკანასკნელ დრომდე მას მთავრობის მიერ თვალყურის დევნება ჰქონდა დანიშნული. და აი, ასეთი მებრძოლი და პატიოსანი ადამიანი ვიღაც ბინძურის ხელმა წუთისოფლის გამოასალმა. ვაი, თუ ეგონა უბედურს, რომ სასახელო საქმეს ჩადიოდა!

ყოვლად შეუძლებელია ამისთანა ამბებმა ადამიანს სულის სიმშვიდე არ დაუკარგოს. თავ-გზა გებნევა. ჰფიქრობ სად არის გონიერება, გარჩევა ავის და კარგისა? ნუ თუ საბოლოოდ გავნადირდით, ნუ თუ რევოლიუციონური ალტყინება უნდა საბოლოოდ ჩაჰკლას თავზე ხელაღებულმა ყაჩაღთა ბრბომ და შეგვიგინოს წმიდათა წმიდა.

განსვენებული ლევანი ლიტერატურაშიც იღებდა მონაწილეობას და სხვათა შორის სწერდა ლექსებსაც „ლილოს" ფსევდონიმით. მისი დაკარგვა უეჭველია გულს დასწყვეტს და მწარე ფიქრებს აღუძრავს არა მარტო მის ახლობლებს, არამედ მის შორეულ ნაცნობებსაც.

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი, ხოლო ხალხის და შეგნებული საზოგადოების ზიზღი მის ნაძირალა მკვლელებს, რომელთაც ეს საშინელი, შემაძრწუნებელი და სამარცხვინო საქმე ჩაიდინეს.

# ცენტრის კრება

9 თებერვალი.

ამ დღეს პეტროგრადიდან ტფილისში ჩამოვიდა არ. ზურაბოვი, რომელმაც საღამოს კავკასიის მუშ. ჯ. და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის სხდომაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა რუსეთის და კერძოდ პეტროგრადის მდგომარეობის შესახებ.

თქვენ კარგად იცით—ამბობს მომხსენებელი—15 ოქტომბერს მომხდარ გადატრიალებას საფუძვლად ედო მთელი ძალა-უფლების მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში გადასვლა. მაგრამ, სახელმწიფოს მართველობას სათავეში ჩაუდგა მარტო ერთი პარტია—პარტია ბალშევიკებისა. მათი დაპირების თანახმად ყოველივე საკითხი ჯერ საბჭოებში უნდა განეხილათ და მის შესახებ დეკრეტი კი შემდეგ გამოეცათ. ბალშევიკების მთავრობა კი ჯერ დეკრეტებს გამოსცემდა და მერე მიიღებდა ამის დასტურს საბჭოებისაგან. აი მაგალითიც. ერთ დილას 10 საათზე ლენინის მთავრობამ გამოსცა დეკრეტი ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ და საღამოს კი ბევრი ყაყანის შემდეგ დაადასტურებინა საბჭოებს.

ბრესტში საზავო მოლაპარაკების დროს დელეგაციათა შორის მოხდება აზრთა შეხლა შემოხლა ერთა თვითგამორკვევის პრინციპის შესახებ თქვენ თუ ასე გესმით თვითგამორკვევა, რომ უკრაინას და სხვა ერებს ძმათა სისხლში ახრჩობთ,—ჩვენ ეს ასე არ გვესმის—სთქვა კიულმანმა. როდესაც საზავო დელეგაციის წევრად უკრაინელების დელეგატი მოვიდა, გერმანელ კიულმანმა ჰკითხა ტროცკის: რუსეთი დანაწილებულია და თქვენ ვის მთავრობას წარმოადგენთო? ტროცკიმ უხერხულ მდგომარეობიდან გამოსასვლელად ერთა თვითგამორკვევის პრინციპით ახსნა უკრაინელის მოსვლა როდესაც კიულმანმა კვლავ გადაჭრით მოსთხოვა პასუხი, თუ ვისი მთავრობა ხართ თქვენო, ტროცკიმ კიულმანს თავი გაანება და გადაჭრით უპასუხა: ველიკოროსებისო. ასეთი იყო საზავო მოლაპარაკება, რომელიც უკვე შეწყდა.

საზავო კითხვის განხილვის დროს პეტროგრადის ბალშევიკებში ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი ერთს მეთაურობს ლენინი, რომელიც მოითხოვს—ზავს ყოველგვარ პირობებში, მეორე მიმდინარეობა ტროცკის მეთაურობით მოითხოვს სამღვთო ომის დაწყებას. მეორე დღეს მარტოვმა გაატარა რა კრიტიკის ქარცეცხლში სახალხო კომისარების მოქმედება, დაასახელა ერთად ერთი გამოსავალი გზა: არც სამარცხვინო ზავზე მოეწერათ ხელი და არც ომი ეწარმოებინათ.

სურსათის მხრით მდგომარეობა მეტად უნუგეშოა. იძლევიან ერთ მეოთხედ და ზოგიერთ რაიონებში ერთ მერვედ გირვანქა პურს და ისეთ უვარგისს, რომ მე რუსეთში ასეთი პური არასოდეს არ მინახავს. სრულიად არაა ხორცი, რძე,—ერბო, კვერცხი და სხვა ეს აიხსნება ორი მიზეზით ერთი, რომ ტრანსპორტი სავსებით არეულ დარღვეულია, მეორეც ის, რომ პურით დატვირთულ ვაგონებს [illegible] გზაში იტაცებენ. რაც შეეხება სამოქალაქო [illegible] თუ როგორ გაჩაღდა იგი უკრაინელთა და ე. წ. კალედინელთა წინააღმდეგ. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ მათგანს ამის საბაბი არ მიუცია სახალხო კომისრებისათვის. ეს ომი ჯერაც არ შეწყვეტილა. კაზაკებს ორ ბანაკად გაყოფა ემჩნევა. ერთის მხრით იბრძვიან მშრომელი კაზაკები, მეორეს მხრით—შეძლებულები. ასევეა უკრაინაშიც, რასაც შედეგათ მოყვა ბურჟუაზიულ რადის გადადგომა, ძველი რადა დაატუსაღეს, ახალი სახალხო კომისართა საბჭოს თვალსაზრისზე დგას. მაგრამ უკრაინაშიც არ არის კარგად საქმე, ვინაიდან გერმანელებმა ძველ რადასთან შეკრეს ზავი და ახალი რადა კი რყევას განიცდის ზავის საკითხში. ეს გარემოება ხელს უწყობს გერმანელებსა და სახალხო კომისართა ურთიერთობის გამწვავებას.

პეტროგრადი და მოსკოვი ისეთ აუტანელ მდგომარეობაშია, როგორშიაც არც რომანოვების დროს იყო. ძალზე გავრცელებულია ჩხრეკა-დაპატიმრება. პირველად ვითომ ეს ზომა ბურჟუაზიულ ელემენტების წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ მალე სოციალისტებზე მიდგა ჯერი, მუშებს და მათ ორგანიზაციებსაც ეწვიენ. სჩხრეკენ, ამტვრევენ, სწვავენ, აპატიმრებენ დამფუძნებელ კრების დამცველ და სხვა ორგანიზაციებს სამჯერ-ოთხჯერ დაესხნენ თავს, რაც ხშირათ კონფლიქტებს იწვევდა. ამ ორგანიზაციებში წერეთელ ჩერნოვს და სხვათა დაჭერ ორდერებით მიდიოდნენ. ამას მოყვა 5 იანვრის სისხლის ღვრა. მატროსები და წითელ გვარდიელები თავის ძმებს—მუშებს აღარ ინდობდნენ.

ბალშევიკების პოლიტიკამ სულ სისხლის სამართლის დამნაშავეებითა და ავანტიურისტებით აავსო მათი ბანაკი. აი თუნდაც ფეერმანი, კომისრების მიერ პეტროგრადის გრადონაჩალნიკად დანიშნული. ის ცნობილი გაიძვერა და ქურდიც კი იყო. მისი თანაშემწე კაზანცევი ცნობილია, როგორც მექრთამე და როგორც [illegible], ბოქაულათაც კი ყოფილა. შმულევი—ყოფილი პროვოკატორი. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა საფინანსო სამინისტროს სათავეში აქსერი დავინახე, რომელსაც არაფერი არ გაეგება ფინანსიური საქმისა. ახლახან გამოვიდა მეტად სასაცილო დეკრეტი ვაჭრობის მოსპობის შესახებ, ვაჭრობა კოოპერატივების ხელში უნდა გადავიდესო. სასურსათო საქმეს შეეჩნენ ენერგიით სავსე პირები, მაგრამ ლენინელებმა ვითომდა მომუშავეთა ურჩობის გამო დაჰკეტეს ხორცის, რძის და სხ. საწყობები. მეორე დღეს ეს საწყობები ნახევარი გაქურდეს მუშათა კონტროლის დაწესებამ ქარხნებში ნედლი მასალის დატაცება გამოიწვია. ქარხნები ყოველ დღე იკეტება და, რა თქმა უნდა, მუშებსაც ითხოვენ. ერთ დღეს მინისტრმა შლიაპნიკოვმა 45000 მუშა დაითხოვა. ამნაირად სოციალისტურ მთავრობამ მუშებს ლოკაუტი გამოუცხადა.

მოხსენების შემდეგ ზურაბოვს კერძო კითხვებით მიჰმართეს. შეეკითხნენ თუ ამიერკავკასიაზე კომისართა საბჭო როგორ უყურებსო.

მე კავკასიის შესახებ ვილაპარაკე ჯუღაშვილს, სთქვა ზურაბოვმა—რომელმაც განცვიფრებით მკითხა: მართალია თუ არა, რომ კავკასიაში კონტრ რევოლიუციონური კომისარიატი შესდგა როგორც შაუმიანი მატყობინებს დეპეშითო. მე ამაზე ვუპასუხე, რომ ეს კომისარიატი თავის შემადგენლობით რევოლიუციონურია რასაც ამტკიცებს ის, რომ კომისარიატი სავსებით ექვემდებარება საბჭოებს და ადგილობრივ რევოლიუციონურ ორგანიზაციებს-თქო. მაშინ ჯუღაშვილმა მითხრა, თუ მართლა კომისარიატი კონტრრევოლიუციონურია, ჩვენ კავკასიასთან შეტაკება მოგვიხდებაო.

# თურქული პრესა

ტფილისის მუსულმან-სოციალისტებმა საკუთარი ორგანო დაიარსეს: „ალ-ბაირაღ" ე. ი. წითელი დროშა. მისი პირველი ნომერი უკვე გამოვიდა. მოწინავე წერილში, რომელსაც სათაურად „ჩვენი მიზნები" აქვს, გაზეთი სწერს:

„თავისუფლების ხანის პასუხსაგებ დღეებში, მძიმე პირობებში ჩვენ ვბე-

დავთ „წითელი დროშის“ გაშლას და ასპარეზზე გამოსვლას იმ იმედით, რომ ხალხიც ხელს შეგვიწყობს. ჩვენი მიზანია—ვიზრუნოთ მშრომელი ხალხის ინტერესებზე და ყოველი ჩვენი ძალ-ღონით დავიცვათ ის.

ოთხმოცდა ცხრამეტი პროცენტი ჩვენი ერისა—გლეხები და მუშებია; მაშასადამე მათთვის მუშაობა, ერისათვის მუშაობაა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ერის ხსნა მდგომარეობს მეზობელ ერებთან სიყვარულისა და თანხმობის დამკვიდრებაში.

მაშასადამე ჩვენი პოლიტიკური მიზანია—დავიცვათ მტრების იერიშებისაგან რევოლიუცია, რომელმაც მოგვანიჭა ჩვენ სიცოცხლე და თავისუფლება; ხელი გავუწოდოთ სხვა ერების დემოკრატიას და შევქმნათ პირობები საერთო თანამშრომლობისათვის.

ჩვენი ეკონომიური მიზანია—დავიცვათ მუშისა და გლეხის უფლებები და ყოველი ღონით ვესწრაფოთ, რომ ორივე საკითხი—გლეხებისა და მუშების—გადაჭრილ იქმნას თანახმად მათი ინტერესებისა და ნებისა.

ამას გარდა, კავკასიაში რთული „ეროვნული საკითხი“ არსებობს; მრავალია ის ბნელი ძალა, რომელიც შხამის ჩასხმას აპირებს ამ საკითხში.

ჩვენ გვრწამს, რომ მშრომელ კლასთა შორის—რა ეროვნებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის—ეროვნული საკითხი არ არსებობს. ეს საკითხი ბეცმა ნაციონალისტებმა და კაცუნა იმპერიალისტებმა შექმნეს.

ჩვენი ყოველი ღონით ვიბრძვით ბნელი ძალების წინააღმდეგ, რომელიც სუნთქვას უხშობს ხალხს, და ჩვენ მოუწოდებთ ერებს ძმურად იცხოვრონ ერთმანერთში.

ეს არის ჩვენი გზა; ეს არის ჩვენი მიზნები, რევოლიუციის გზით განრწყინვებულნი, ჩვენ მაღლა ვწევთ „წითელ დროშას“ და მივდივართ ვიმუშაოთ ძმობა-ერთობა-თავისუფლებისათვის.

არ შეუძლია აუწერელი სიხარულით არ მიესალმოს „ალ-ბაირაღის“ გამოსვლას ყველა ის, ვისთვისაც წმინდა ერთა ძმობა, ვისთვისაც ძვირფასია კავკასიის ერთა ბედნიერება და ვინც შეიგნო რევოლიუციონური პრესის მნიშვნელობა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის“.

## მიწის საკითხი!

(გაგრძელება)

გორი. 4 თვეა, რაც საადგილმამულო კომიტეტი არსებობს ამ ხნის განმავლობაში კომიტეტში შემოვიდა და გარჩეულ იქნა 600-ამდე საჩივარი, რომლებიც უმთავრეს ნაწილად თვით გლეხთა შორის უთანხმოებას შეეხებოდა. მოეწყო ერთი საუბნო კომიტეტი და მთელი რიგი მომრიგებელ კამერებისა.

ფაქტიურად მიწა ჩამორთმეულია მემამულეებზე. მემამულეთა წინააღმდეგ მოძრაობა უმეტეს შემთხვევაში ხდება არა აგრარულ, არამედ წოდებრივ და პიროვნულ უკმაყოფილების ნიადაგზე. ტყის გაჩეხვა და დატაცება, რომელმაც პირველ ხანებში ფართო ხასიათი მიიღო, უკანასკნელ დროს თითქმის სრულიად შეჩერებულია. გლეხებმა თავიანთ ყრილობაზე შეიმუშავეს სატყეო მასალის ნიხრი—ურემ შეშაზე 50 კ—დან 2 მანეთამდე და დააყენეს თავიანთი დარაჯები. როგორც ეს დარაჯები, ისე კერძო მესაკუთრეთა ტყეების დარაჯები ყველაფერში საად.-მამულო კომიტეტებს ემორჩილებიან და, მაშასადამე, ტყეებიც ამ უკანასკნელთა ხელშია იმყოფება. გადასახადს გლეხები იმდენს იხდიან, რამდენიც ტყის შესანახავად არის საჭირო; გადასახადი დეპოზიტის სახით შეაქვთ. მთის ტყეების საიჯარო გადასახადს არ იხდიან, ბარისაში—მხოლოდ ნაწილს.

### 3 თებერვლის სხდომა.

ამ სხდომაზედაც ადგილებიდან 6 მოხსენებას აკეთებენ,

**ახალციხის მაზრა.** მომხსენებელის სიტყვებით გლეხები მიწას მემამულეებისა და მქონებელ გლეხებიდან ელიან. აგრარულ მოძრაობას ჯერჯერობით მშვიდობიანი ხასიათი აქვს; იგი ჯერჯერობით გლეხების მხრივ საიჯარო და სხვა გადასახადებზე უარის თქმაში გამოიხატება; ეს მით აიხსნება, რომ გლეხები მიწას ისე უყურებენ, როგორც თავიანთ საკუთრებას. საადგილ-მამულო კომიტეტები ჯერ კიდევ ვერ სარგებლობენ გლეხების სრული ნდობით. კომიტეტი მაზრაში 2 აგვისტოს დაარსდა და მისი მოქმედება პირველ ხანებში ნორმალურად მიმდინარეობდა; უკანასკნელი უმთავრეს ნაწილად ეხებოდა ექსცესების თავიდან აცილებას, რომლებსაც შესაძლებელი იყო, ადგილი ჰქონებოდა გადასახადებზე უარის თქმის ნიადაგზე, განზრახული იყო სტატისტიკურ ცნობების შეკრება; მაგრამ, რადგანაც კომიტეტმა ვერ შესძლო სამაზრო კომისარებთან თანხმობით მოქმედება, ცნობების შეკრებაც ვერ მოხერხდა.

ყველაზე უფრო მტკივნეულ ინსტიტუტს მაზრაში ტყეები შეადგენენ: გლეხები შეუბრალებლად სჩეხენ ტყეებს: მიუხედავად იმისა, რომ ტყეების დასაცავად დაყენებული არიან ხალხის მიერ არჩეული დარაჯები, გლეხების შეუგნებელი ნაწილი მაინც განაგრძობს ტყის ჩეხვას: ამათი აზრით არჩეული დარაჯები სრულიად დამოკიდებული უნდა იყვნენ მათი—ამრჩევლების ნება სურვილზე, იმ ადგილებში, სადაც გლეხობის უფრო შეგნებული ნაწილი ცხოვრობს, ტყის გაჩეხვას ადგილი არა აქვს. ზოგიერთ ადგილებში, სადაც ნაციონალურად შერეული მცხოვრებლებია, მოეწყო სხვადასხვა ერების წარმომადგენლებისაგან შემდგარი რაზმი, მაგრამ ვერც ამან იხსნა ტყეები გაჩეხვისაგან, მომხსენებლის შემდეგი სიტყვებიდან ირკვევა, რომ ტყის გაჩეხის დროს არ არჩევენ არც სახაზინო და არც მემამულეების ტყეებს. ტყის კომისარები ვერ იჩენენ საჭირო ენერგიას ტყის დაცვაში; კომიტეტი კი უღონოა რაიმე ზომები მიიღოს.

რადგანაც ახალციხის ტყეებს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს მომხსენებელი და რამდენიმე წევრი კრებისა მოითხოვენ, რათა ამ ტყეებს მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. მომხსენებლის აზრით, ერთი განსაკუთრებული ზომა, რომელიც ამ ტყეების დასაცავად უნდა იქნეს მიღებული, გამოიხატება საადგილ-მამულო კომიტეტთან სატყეო განყოფილების დაარსებაში, რომელიც სპეციალურად იზრუნებს ტყეების დაცვაზე.

**თიანეთის მაზრა.** ამ მაზრის საადგილ მამულო კომიტეტს პირველ დღეებიდანვე მოუხდა მემამულეთა და გლეხთა შორის უთანხმოებების გარჩევა. სოფლის მცხოვრებთა შეგნების მეოხებით მემამულეები თავიდანვე მარცხდებოდენ; ისინი იძულებული ხდებოდენ ბევრი დაეთმოთ შეგნებულ სოფლის დემოკრატიისათვის, დემოკრატიის ასეთი ტაქტი და წინდახედულობა იმ გარემოებას მიეწერება, რომ გლეხები მიწის საკითხის გადაწყვეტას დამფუძნებელ კრების საშუალებით ელოდენ, მაგრამ მას შემდეგ რაც დამფუძნებელი კრება საბოლოოდ გარეკეს ბოლშევიკებმა, გლეხებიც გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდენ. გარდა ამისა აქ მოქმედებენ სხვა და სხვა განსაკუთრებული პირობები—ნაციონალური სიჭრელე, სხვა და სხვა გვარი მიწათსარგებლობის სისტემა, უმიწაწყლო ხევსურების და უფრო მქონებელ გლეხების არსებობა, მთიელების და ბარელ მცხოვრებთა ინტერესების წინააღმდეგობა და სხვა, რაც მიწის საკითხს კიდევ უფრო ამწვავებს. ყველა ეს კითხვები აყენებენ კომიტეტს მძიმე პირობებში; ამ საკითხების ადგილობრივად გადაჭრა შეუძლებელია. საჭიროა ნათელი და გარკვეული კანონი და არა აგრარული პროპაგანდა, რათა ბოლო მოეღოს ყველა იმ შეტაკებებს, რომლებსაც დღეს აგრარულ ნიადაგზე აქვს ადგილი. ამის გარდა თვით საადგილ-მამულო კომიტეტების კომპენტენცია არ არის საკმაოთ განსაზღვრული: მაგალითად, კომიტეტი უხერხულ მდგომარეობაში ვარდება, როდესაც თვით გლეხთა შორის ხდება შეტაკებები. ჯერ-ჯერობით საადგილ-მამულო კომიტ. სარგებლობენ მცხოვრებთა მხრივ სრული ნდობით; მაგრამ თუ კომიტეტებმა არ მიიღეს უფრო სწორი დირექტივები. იმ შემთხვევაში მათი მოქმედება აგრარულ პროპაგანდით განისაზღვრება და ამით მათი ავტორიტეტიც დაეცემა. თიანეთის მაზრაში ტყეების მასსიური ჩეხვა არ ხდება, რადგანაც ეს მაზრა არ წარმოადგენს ტყის მწარმოებელ მაზრას.

**ბორჩალოს მაზრა.** გლეხები უკვე სარგებლობენ მიწებით, რომლებიც მემამულეებს ჩამოართვეს დამფუძნებელი კრების იმედით გლეხები უკანასკნელ დრომდის არ მიმართავენ მიწების თავიანთი ნებით დატაცებას; მაგრამ რაკი დამფ. კრება გარეკს, ასეთი მოქმედება ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. მემამულეთა მიწების დატაცების ნიადაგზე ხდებოდა შეტაკება თვით გლეხთა შორის; ამ უთანხმოებას საადგ.-მამულო კომიტეტის დაარსებამდე აღმასრულებელი კომიტეტი და მომრიგებელი კამერები არჩევდენ. საადგ.-მამულო კომიტეტმა კი თავისი მოქმედება 15 ნოემბრიდან დაიწყო. თუ როგორი იქნება ამ მხრივ მისი მუშაობა ამის გათვალისწინება არ შეიძლება; ტყეებს სჩეხდენ, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევებში კომიტეტის მეოხებით ეს პროცესი საგრძნობლად შემცირებულ იქნა. სხვათა შორის არის მემამულეთა ბაღების გაჩეხვის მაგალითებიც. თუ მიწის საკითხი გაზაფხულამდის არ იქნა გადაწყვეტილი, მოსალოდნელია შეტაკებები, როგორც ხლეხთა და მემამულეების, ისე თვით გლეხობის სხვა და სხვა ნაწილებს შორის. გლეხთა ადგილების გლეხების მიერ დატაცებას ადგილი არ ჰქონია, იტაცებდენ მხოლოდ მემამულეთა მიწებს. საკითხს ამწვავებს სხვა განსაკუთრებული პირობებიც. მაგალითად, თუ დროზე არ იქნა მოწესრიგებული დამოკიდებულება მეცხვარეთა და მცხოვრებთა შორის, მოსალოდნელია შეტაკებამ ნაციონალური ხასიათიც მიიღოს; ეს იმიტომ, რომ მწყემსებს თავიანთ ფარის ერთი ალაგიდან მეორეზე გადარეკვის დროს მოუხდებათ სხვა ტომების მიდამოებში გავლა, რაც, უსათუოდ, მტრულ განწყობილებას დაბადებს.

**სიღნაღის მაზრა.** გლეხები მიწის საკითხის გადაწყვეტას დამფუძნებელი კრებიდან მოელოდენ, მაგრამ შემდეგ, როდესაც ეს იმედი გაუცრუვდათ, თავი იჩინა აგრარულმა მოძრაობამ. მემამულეთა მიწების დატაცების დროს ხდებოდა შეტაკებები თვით გლეხთა შორის, გლეხები ფიქრობდნენ, რომ დატაცებულ მიწებს თვით დამფუძნებელი კრება დაუმტკიცებდა დამტაცებლებს. უფრო ხშირი იყო გაუგებრობის მაგალითები ჩამონაჭრების დატაცების დროს, ვინაიდან ჩამონაჭრების იურიდიული რაობა, ჩამონაჭრებით სარგებლობის და ექსპლოატაციის ხასიათი არ ესმოდათ, როგორც გლეხები ჩამონაჭრებს თავიანთ ნებით იტაცებდნენ სხვები კი, აგრეთვე მემამულეები იმ საკითხის გამოსარკვევად, შეიძლება თუ არა ჩამონაჭრები გლეხებს გადაეცეს, თუ ისინი უნდა დარჩეს მემამულეებს, როგორც საადგილ-მამულო ნორმა, მიმართავენ საადგილ-მამულო კომიტეტს; მაგრამ ამასაც არ აქვს შეძლება ეს საკითხი გადასჭრას.

სხვაგვარი აგრარული მოძრაობა მაზრაში არა ყოფილა. კომიტეტის მთავარი მოქმედება სწორედ გლეხთა შორის კონფლიქტების მოგვარებისაკენ იყო მიმართული. გლეხები ნდობით ეპყრობიან კომიტეტს. ტყეებს სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის სჩეხენ. იყო მაგალითები, როდესაც ტყეები სახნავ-სათესი მიწისათვის იჩეხებოდა. ფაქტიურათ ტყეები იმათ ხელშია, ვინც მასთან ახლო მოსახლეობს; აქ შეტაკებები ხდება ტყეებიდან შორს მოსახლე მცხოვრებლებთან და მეპატრონეებთან, რომლებიც ფიქრობენ, რომ ტყეები მათაც ეკუთვნით.

**ტფილისის მაზრა.** საადგილ მამულო კომიტეტმა თავისი მოქმედება დაიწყო დაახლოვებით ერთი თვის უკან. შეკრებულ მასალების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ აგრარულ მოძრაობას, როგორც სხვაგან, აქაც ჰქონდა ადგილი. ეს მოძრაობა ჯერ კიდევ ზამთრამდე დაიწყო; იგი გამოიხატა თვით-ნებურ დახვნა-დათესვაში და საიჯარო გადასახადის გადაუხდელობაში. საიჯარო გადასახადს არ აძლევენ არც წვრილ და არც სხვილ მემამულეებს. სოფ. დილომში აგრარულ მოძრაობას ორგანიზაციული ხასიათი აქვს: იქ დაარსებულმა საადგილ-მამულო კომიტეტმა თვითონ ჩაიგდო ხელში ყველა მიწა. ასეთივე ორგანიზაციული ხასიათი აქვს მოძრაობას ცხვალაშიაც. ტყეების ჩეხვა აქაც ხდება, მაგრამ დაწვრილებითი ცნობები ამის შესახებ კომიტეტს არ მოეპოვება. ამის გამოსარკვევად მიღებულია შესაფერი ზომები. გლეხებში განმტკიცებულია ის აზრი, რომ კომიტეტი ისეთი ორგანოა, რომელიც მათ გადასცემს მიწას. აგრარულ ნიადაგზე ნაციონალურ ხასიათის შეტაკებებს მაზრაში ადგილი არ ჰქონებია. („ერთ.“).

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარი კომიტეტისა

**საბუღალტრო კურსები**
**გ. კ. ტერ-დავიდოვისა**
ნიკოლოევის ქუჩა № 36 4 გვ. 1400

**ხელსაქმის მასწავლებელი** რომელსაც აქვს გიმნაზიის 7 კლასის მოწმობა და ატესტატი პეტროგრადის სამოსწავლო ოლქისა, რომელიც ხელსაქმის სწავლების უფლებას ანიჭებს, ეძებს მასწავლებლის ადგილს საშუალო სასწავლებელში ან სამოქალაქო სკოლის გამგის ადგილს (ხელ-საქმის მასწავლებლობით) მისამართი: სად. ველისციხე, კახეთის რკ. გზა მიხეილ გეგიმურელს, ელენე ანდრონიკაშვილისათვის. 753

ექიმი
**პ. ტყეშელაშვილი**
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
**ნ. გ. მრევლიშვილი**
მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საბებიო სასწავლებლის და ინტერნად კიევის ქალაქის სავადმყოფოს მიიღებს საბებიოდ საშვილოსნო ავადმყოფებს 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22. ვორონცოვის ძეგლის ახლო. 193

ექიმი
**ი. გ. კონიევი**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდის უბნის ქ., № 3. 55

ექიმი
**ე. ლ. შალამბერიძე**
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფებს, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
**დ. ვ. ჯავახიშვილი**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
**გ. წინამძღვრიშვილი**
ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა,
იღებს ავადმყოფებს
**ახალ ბინაზე**
გულის, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანებს სპეციალურად.
საღამ. 5—7 საათამდე, ყოვ. დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბომონდის“ პირდაპირ. 1029

ექიმი
**ს. ზ. მირზოევი**
უფროსი ორდინატორი ტფილისის ქალაქის საავადმყოფოსი, იღებს 1½—3½ ს., გარდა კვირისა. მისამართი: [illegible] ქ. № 1. ტელ. 16—67. 1069

ქ. ქუთაისში.
ექიმი რევაზ ალექსანდრეს ძე
**მაჩაბელი**
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეშჩანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
**მ. ო. ზანდუკელი**
ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ სამკურნალ. ექიმ ნ. მ. კიშკინისა იღებს შინაგან და ნერვების ავადმყოფებს (ფსიხოთერაპია) სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, და პარასკევს 3—5 ს. ოლღის ქ. № 22. 132

ექიმი
**ზ. გ. ნარიმანოვი**
ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე სალ. 5 ნ.ხ. ს. დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. № 16—17. 1008

ექიმი
**თიკანაძე**
იღებს ავადმყოფებს სად. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
**გ. მ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებს საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი [illegible] ტელეფ. 5-11. 1080

ექიმი
**ნ. ლ. ტურიაშვილი**
დოქტორი მედიცინისა მიუნხენის უნივერსიტეტისა. შინაგანი, ბავშვ., საბებიო და საშვილ. სნეულ. მიიღ. ყოვ. დღე დილ. 9—10 ს. საღ. 5—6 საათ. უფასოთ მიიღ. ყოველ. დღე დილ. 8—9 ს. სოლოლაკი გუდოვიჩის ქუჩა № 6. მე-3 სართ. 134

ექიმი
**დ. შარაშანიძე**
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს დილის 11—2 ს., საღამოთი 6—8 საათამდე. მადათოვის ქუჩა, № 7. 2180

ექიმი
**შ. ა. მიქელაძე**
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის
დოქტორი
**ბ. ბ. მეჰრაბიანცი**
შინაგან ავადმყოფობა—ფილტვის—ჭლექის და გულისა. ახალ რენტგენ-ელექტრო სინათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, დიდი სოლენოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა შინაგანი სნეულებისათვის, პნევმოტორაქსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92. 1036

ექიმი
**პავლე არდაზიანი**
[illegible] 1002

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
**კალანდარიშვილი**
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1056

ექიმი კბილისა
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ექიმი
**ვ. ფუსხელიშვილი**
იღებს ავადმყოფებს დღის 12—2 საათ, [illegible] ქ. № 6.

**ექიმ ნავასარდიანის**
**პირველი კერძო**
**სამკურნალო**
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
11—12 ს. „606“ და „914“
ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (იფილის. ავადმყ.)
ბ. გ. აგაბაბოვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1001

**მიიღება ხელის მოწერა 98 წლისათვის**
**დასურათებული საყმაწვილო ჟურნალ**
**„ნაკადული“**
წელიწადი მეთოთხმეტე
ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.
**მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის.**
ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა 12 მან. ნახევარი წლით—7 მან. ცალ-ცალკე: მცირე-წლოვანთათვის—7 მან. მოზრდილთათვის—7 მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
რედაქციის მისამართი: მამადავითის ქ. № 2.
რედაქციაში არის გასული წლის კომპლექტები.

**„სახალხო საქმი“-ს**
**რედაქციის კანტორაში**
**იყიდება შემდეგი წიგნები:**

| | |
|---|---|
| ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია“ მხოლოდ მეორე ტომ. | 3 მ. |
| ღლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია“ წ. I | 4 „ |
| გრდემლი წ. I | 3 „ |
| ქართველი მწერლები. | 2 „ |
| უცხოეთის „ | 2 „ |
| შიუკაშვილი—„მეგობრობა“. | — 60 კ. |
| ჯანაშვილი—„თამარ მეფე“. | 1 „ 20 „ |
| ფირცხალავა ს. „სამაჭადიანო საქართველო“. | — 40 „ |
| ღლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი“ | — 50 „ |

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიც შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შეიძლება მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე“.

**სტამბა**
**სახალხო საქმე**
ტფილისი
ბარონის ქუჩა
№ 14

სტამბა ასრულებს ყოველ
გვარ სასტამბო საქმეებს
სუფთად, იაფად და თავის
დროზე